

პროფესიული განვითარება

როგორ ვანარჩმობთ პრაქტიკის კვლევას



მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

მასწავლებლის საქმიანობის დახვედრის, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სტიმულის მიხედვით, გარკვეული კატეგორიის მასწავლებლებისთვის, ერთ-ერთი სავალდებულო აქტივობა პრაქტიკული კვლევაა, რომლის განხორციელებაც მათ მოუწევთ როგორც შემდეგი სტატუსის მისაღწევად, ისე არსებული შესაბამისი კვლევა და რა მიზანს ისახავს ეს აქტივობა, ამის შესახებ გვიხატავს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მესამე-კონსულტანტი სოფიკო ლოპუნიძე



მის ფარგლებში ახორციელებენ, წინასწარ შემუშავებულ, სტანდარტიზებულ კრიტერიუმებს ეყრდნობა. სტანდარტიზებულ კრიტერიუმებზე დაფუძნებით არის შექმნილი პრაქტიკის კვლევის შეფასების რუბრიკაც, რომელიც სქემის გზამკვლევის მეორე ნაწილია გამოქვეყნებული. სწორედ ამ რუბრიკაზე დაყრდნობით შეაფასებს მასწავლებლის შეფასების ჯგუფი პედაგოგის მიერ განხორციელებულ კვლევას.

ნებისმიერი კვლევის, განსაკუთრებით კი პედაგოგიური კვლევების დროს, უმნიშვნელოვანესია კვლევის ეთიკის ნორმების დაცვა, რადგან სამიზნე ჯგუფი ძირითადად მოსწავლეა. სწორედ ამიტომ, ეთიკის ნორმების დაცვას განსაკუთრებული წონა აქვს მინიჭებული შეფასებისას. იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში გამოვლინდება, რომ მან დაარღვია კვლევის ეთიკის ნორმები, ნაშრომი არ ფასდება.

რომელი სტატუსის მასწავლებლისთვისაა პრაქტიკის კვლევა სავალდებულო აქტივობა და რამდენჯერ შეუძლია სცადოს მასწავლებელმა კვლევის ჩატარება?

უფროსი მასწავლებლისთვის, რომელსაც წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოპოვება სურს, სავალდებულოა საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის წარმოება, ხოლო წამყვანი მასწავლებლისთვის არეალი უფრო ფართოვდება და მისთვის სავალდებულო ხდება სკოლის საჭიროების კვლევა. თუმცა, შენარჩუნება აქვს სკოლებსა და უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობა. მაგალითად მოვიყვანო ერთ პრაქტიკას, რომელიც ძალიან კარგად მუშაობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლისა და სკოლების თანამშრომლობით. განათლების მიმართულების მაგისტრანტები სამეცნიერო ნაშრომს ასრულებენ პრაქტიკის კვლევით, რომელიც სკოლისა და მასწავლებლის ჩართვის გარეშე ვერ განხორციელდება. მაგისტრანტები მიდიან სკოლაში, მასწავლებლებს ეხმარებიან საკვლევი საკითხების იდენტიფიცირებაში და მათივე აქტიური ჩართულობით იწყებენ იმ საკითხების კვლევას, რომელზეც სკოლიდანაა დაკვეთა.

გარდა ტრენინგებისა, როგორ განვითარონ მასწავლებელმა კვლევითი უნარები?

კვლევითი უნარების განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სკოლებსა და უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობას. მაგალითად მოვიყვანო ერთ პრაქტიკას, რომელიც ძალიან კარგად მუშაობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლისა და სკოლების თანამშრომლობით. განათლების მიმართულების მაგისტრანტები სამეცნიერო ნაშრომს ასრულებენ პრაქტიკის კვლევით, რომელიც სკოლისა და მასწავლებლის ჩართვის გარეშე ვერ განხორციელდება. მაგისტრანტები მიდიან სკოლაში, მასწავლებლებს ეხმარებიან საკვლევი საკითხების იდენტიფიცირებაში და მათივე აქტიური ჩართულობით იწყებენ იმ საკითხების კვლევას, რომელზეც სკოლიდანაა დაკვეთა.

სწორედ სვამენ მასწავლებლები კითხვას: როგორ ვისწავლოთ პრაქტიკის კვლევა?

მათ ვურჩევ, რომ კვლევის სწავლის ყველაზე საუკეთესო საშუალება თავად კვლევის პროცესია. პრაქტიკის კვლევა მასწავლებელმა უნდა აქციოს საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის ყოველდღიურ შემადგენელ ნაწილად, რაც მუდმივი პროფესიული განვითარებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლების საუკეთესო საშუალებაა.

საინტერესოა, ამ ტიპის პრაქტიკის კვლევაში მონაწილეობა ეთვლება თუ არა მასწავლებელს განხორციელებულ სავალდებულო აქტივობად და ენიჭება თუ არა ამისთვის შესაბამისი კრედიტული?

კვლევის პროცესში აქტიურად ჩართული მასწავლებელი, რეალურად, კვლევის მონაწილეა. მით უფრო, პრაქტიკის კვლევა არ გულისხმობს ინდივიდუალურ კვლევებს, თავისი არსით ეს ჯგუფური კვლევაა. ამიტომ შესაძლებელია, რომ ან სამმა მასწავლებელმა ერთად დაგვემოს და განხორციელონ როგორც საკუთარი პრაქტიკის, ისე სასკოლო კვლევები. ჯგუფური კვლევა, როცა რამდენიმე პარალელურ კლასში ერთდროულად ხორციელდება, უფრო საინტერესოცაა და ეფექტიანიც. ამდენად, მასწავლებელს, რომელიც სკოლის მხრიდან აქტიურად ჩართული კვლევის პროცესში, აფორმებს მას და შეფასების ჯგუფისგან დადებით შეფასებას და იმსახურებს, რა თქმა უნდა, სავალდებულო აქტივობად ჩათვლება და შესაბამისი კრედიტული მიენიჭება.

ესაუბრა ლალი ჯილაძე

რა არის პრაქტიკის კვლევა?

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა არის პედაგოგების, დირექტორების, სასკოლო საზოგადოების სხვა წარმომადგენლების მიერ ჩატარებული ნებისმიერი სახის მეთოდური გამოკვლევა კონკრეტული მასწავლებლის, სკოლის საქმიანობის, სწავლა-სწავლებისა და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და გაუმჯობესების მიზნით.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა მართო ნაშრომი სიძნელეების დროს კი არ არის საჭირო, არამედ ახალი იდეების, ინოვაციების გამოსაცდელად, საკუთარი ძალების გასაძლიერებლად, საკუთარი ძლიერი მხარისა და პოტენციალის აღმოსაჩენად, საჭირო უნარ-ჩვევების გასავითარებლად. ყველაფერი ეს კი სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება.

სწორედ მასწავლებლებში დაბნეულობასა და უკმაყოფილებას იწვევს პრაქტიკის კვლევის კომპეტენციის მოთხოვნა, ამბობენ, რომ მკვლევრები არ არიან და ამიტომ გაუჭირდებათ კვლევის ჩატარება. პრაქტიკის კვლევას სულაც არ სჭირდება მკვლევრობა, რადგან იგი არ არის მონყვეტილი მასწავლებლის პრაქტიკას, მისი ყოველდღიური საქმიანობის ნაწილია, რომელსაც გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ახორციელებს.

როგორც უკვე მოგახსენეთ, პრაქტიკის კვლევის მიზანი პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებაა. სქემის მიზანიც ხომ ეს არის - ხელი შეუწყოს მასწავლებელს პროფესიულ განვითარებაში, მაგრამ თავადაც აქტიურად ჩაერთოთ ამ პროცესებში. სწორედ პრაქტიკის კვლევა პროფესიული განვითარების ის აქტივობაა, როდესაც მასწავლებელი საკმაოდ აქტიურად ჩაბმული საკუთარი პრაქტიკის სრულყოფაში.

უფრო კონკრეტულად რა ნაბიჯები უნდა გადადგას მასწავლებელმა პრაქტიკის კვლევის განხორციელებისას?

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის დროს მკვლევარი მასწავლებელი მიჰყვება შემდეგ თანმიმდევრულ ნაბიჯებს: უპირველეს ყოვლისა, მან უნდა განსაზღვროს კვლევის ამოსავალი პუნქტი, ანუ მოახდინოს კვლევის პრიორიტეტული სფეროს იდენტიფიცირება და ჩამოაყალიბოს კვლევის მიზანი. კვლევის დაწყების პირველივე ნაბიჯიდან, სასურველია, მასწავლებელმა კვლევის პორტფოლიოს წარმოება დაიწყო, რომელიც აღწესს ხავეს პროცესის ექსპერტს. პორტფოლიოს წარმოება მასწავლებელს კვლევის პროცესის კორექტირებასა და დასკვნების გამოტანაში დაეხმარება, სწორ გზას ადგას იგი, თუ ჩიხში ექცევა.

შემდეგი ნაბიჯი გახლავთ საკვლევი საკითხზე პროფესიული ლიტერატურის დამუშავება, რათა მასწავლებელმა გადახედოს სხვების გამოცდილებას, საკითხთან დაკავშირებით არსებულ კვლევებს, უკეთ გაერკვეს იმ საკითხში, რომლის კვლევაც გადაწყვიტა. შემდეგ მასწავლებელი იწყებს მონაცემთა შეგროვებას, რომელიც კვლევის პროცესის ერთ-ერთი საკვანძო და საპასუხისმგებლო ფაზაა. მის სწორად და კვა-

ლიფიცირებად წარმართვაზე ბევრად და მოკიდებული საბოლოო შედეგები. მონაცემთა შეგროვებას მოსდევს ანალიზი, რომელიც კვლევის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, მაგრამ ამასთანავე ყველაზე რთული პროცესია.

პრაქტიკის კვლევის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება ინტერვენციის/ჩარხის სტრატეგიის განვითარება, მისი პრაქტიკაში დანერგვა და მიღწეული შედეგების შეფასებაა, რადგან ეს არ ნიშნავს აუცილებლად ყველა პრობლემის გადაჭრას, არამედ - ძიებას, გამოცდილების შექმნას, რალაცის გაუმჯობესებას და კვლევის პროცესის ახალ ფაზაში გადასვლას. შემდეგ, კი, მასწავლებელი აფორმებს მის მიერ განხორციელებულ კვლევას, რამდენად გაიყვანა ის ინტერვენციებმა სასურველ შედეგზე. ბოლოს, აფორმებს კვლევას ანგარიშის, მოხსენების, სტატიისა თუ სხვა სახით. პრაქტიკის კვლევის სტრუქტურირებული წარმოდგენა აუცილებელია, რომ მომავალში გამოიყენონ კოლეგებმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა. პრაქტიკის კვლევას ხომ მხოლოდ საკუთარი თავისთვის არ ვატარებთ. სასურველია, კვლევის შედეგები წაიკითხოთ და გაიზიარონ კოლეგებმა, რადგან, სავარაუდოდ, მათაც შეიძლება მსგავსი პრობლემები ჰქონდეთ და ჩვენ მიერ განხორციელებულ ინტერვენციებსა თუ რეკომენდაციებს დაეყრდნონ.

მაშასადამე, მასწავლებელი კვლევის პროცესში პასუხს გასცემს კითხვებს შემდეგი თანმიმდევრობით: რა პრობლემის წინაშე ვდგავარ, რატომ გარჩნდა ეს პრობლემა? როგორ გადაეჭრა? რა შედეგზე გამიყვანა ჩემმა ქმედებამ/ჩარევამ?

როგორ ხდება პრობლემის იდენტიფიცირება?

კვლევის ამოსავალი პუნქტის აღმოსაჩენად მასწავლებელს შეიძლება უზიგოს სასწავლო პროცესზე დაკვირვებამ, დირექციის, კოლეგების, მშობლებისა და მოსწავლეთა უკუკავშირებმა. მაგალითად, პედაგოგმა კლასში, სემესტრის განმავლობაში, ჩატარებული ტესტირების შედეგები შეაჯამა და აღმოაჩინა, რომ პირველი ტესტირების შედეგი კარგი იყო, შემდეგ კი გაუარესდა. უკუკავშირის შედეგები გახდება იმპულსი, მასწავლებელმა იკვიროს, რამ გამოიწვია შეფასების შედეგების ასეთი ცვლილება და ანალიზის საფუძველზე განახორციელოს შესაბამისი ინტერვენციები; ტრენინგებსა თუ კვალიფიკაციის ამაღლების სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა. მაგ., მასწავლებელი ან მასწავლებელთა ჯგუფი დაესწრო ტრენინგს თემაზე - სწავლების ეფექტიანი სტრატეგიები, გადწყვიტა ეს სტრატეგიები დაენერგა სასწავლო პროცესში, შედეგ შეეფასებინა, გაიყვანა თუ არა მათმა გამოყენებამ უკეთეს შედეგზე და სხვ.

რა კრიტერიუმებით შეიძლება შეფასდეს მასწავლებლის მიერ ჩატარებული პრაქტიკის კვლევა ან ვინ ამოწმებს, რამდენად სწორად წარმართავს მას პედაგოგი?

ნებისმიერი აქტივობა, რომელსაც მასწავლებლები სქე-

ინფორმაცია

შეხვედრა კელაბოტთან

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი და მოადგილეები, სისტემატურად, ხვდებიან პედაგოგებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. შეხვედრები კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობს და პედაგოგებს საშუალება აქვთ, მათთვის საინტერესო ყველა კითხვაზე მიიღონ პასუხი. ამჯერად, მინისტრის მოადგილე, ლია გიგაური და სამინისტროს სხვა წარმომადგენლები სენაკის, აბაშისა და ხობის მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლების დირექტორებსა და მასწავლებლებს შეხვედნენ.

შეხვედრაზე ლია გიგაურმა მოკლედ ისაუბრა განათლების სისტემაში არსებულ სიახლეებზე და უფრო მეტი დრო იმ თემებს დაუთმო, რასთან დაკავშირებითაც ჰქონდათ, ძირითადად, შეკითხვები მასწავლებლებს - პედაგოგთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა და ინფრასტრუქტურული პროექტები. მინისტრის მოადგილემ, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებმა ყველა კითხვას ამომწურავი პასუხები გასცეს.

ლია გიგაური: „ჩვენი სამუშაო რეჟიმი გრძელდება. მოგესვენებთ, 2015-2016 წელი ძალიან მნიშვნელოვანი სასწავლო წელი იყო - დავინყეთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის პილოტირება, გვექონდა ძალიან ბევრი ახალი პროექტი, საფუძველი ჩაეყარა რეფორმებს. მნიშვნელოვანია, რომ მსგავს შეხვედრებზე მოვისმინოთ უკუკავშირი, მასწავლებლების მხრიდან მივიღოთ ინფორმაცია, როგორ დაინერგა ესა თუ ის პროექტი. წლებანდელი წელი, ასევე, გახლავთ სკოლების სამეურვეო სტრუქტურის არჩევნების წელი და მოსამზადებელი პერიოდი უკვე დაიწყო, შესაბამისად, ეს შეხვედრა, ამ თვალსაზრისითაც, ძალიან პროდუქტიული იყო როგორც სამინისტროს დელეგაციისათვის, ასევე თითოეული დამსწრისთვის. ყველა პედაგოგი აქტიური იყო, ძალიან ბევრი შეკითხვა დაიწვა. თითოეული აქ გამოთქმული მოსაზრება ახალი გადაწყვეტილებების მიღების საფუძველია.“

ირინა განგია, სენაკის საჯარო სკოლის დანაწილი კლასის კათედრის ხელმძღვანელი: „მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი ინფორმაცია მოგვეწოდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან, მსგავსი შეხვედრები ძალზე მნიშვნელო-



ვანი და შედეგიანია. დღეს საშუალება მოგვეცა სამინისტროს წარმომადგენლებისთვის დაგვესვა კითხვები, ჩვენი წუხილი და ტკივილი გავგეზიარებინა და გამოგვეთქვა იმედი. აღსანიშნავია, რომ თითოეულ კითხვაზე ამომწურავი პასუხები მივიღეთ, რაც, რა თქმა უნდა, დაგვეხმარება მომავალ წინსვლა-სა და განვითარებაში.“



კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

კავკასიის უნივერსიტეტი (კავკასიის სამართლის სკოლა)

ასხადებს კონკურსს

პროფესორის (2 ვაკანტური ადგილი), ასოცირებული პროფესორის (15 ვაკანტური ადგილი) და ასისტენტ პროფესორის (2 ვაკანტური ადგილი), ასისტენტის (8 ვაკანტური ადგილი) თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ დისციპლინებში:

- კერძო სამართალი (1 პროფესორი, 7 ასოცირებული პროფესორი; 2 ასისტენტ-პროფესორი);
- საჯარო სამართალი (3 ასოცირებული პროფესორი; 7 ასისტენტი);
- სისხლის სამართალი (1 პროფესორი, 3 ასოცირებული პროფესორი);
- საერთაშორისო სამართალი (2 ასოცირებული პროფესორი; 1 ასისტენტი);

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) პროფესორისთვის

- დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
- ლექტორად მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 6-წლიანი გამოცდილება;

ბ) ასოცირებული პროფესორისთვის

- დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
- ლექტორად მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 3-წლიანი გამოცდილება;

გ) ასისტენტ-პროფესორისთვის

- დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
- სასურველია დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის 2-წლიანი გამოცდილება.

დ) ასისტენტისთვის

- დოქტორანტი, რომელსაც სასურველია ჰქონდეს მოცემულ სფეროში საქმიანობის 2-წლიანი პედაგოგიური ან/და პრაქტიკული გამოცდილება.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:

- კურსის/კურსების სილაბუსი/სილაბუსები;
- CV-რეზიუმე;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის ასლი (საზღვარგარეთ დაცული ხარისხის შემთხვევაში, ავთენტურობაზე საჭირო დოკუმენტაცია, ხოლო საქართველოში დაცული ხარისხის შემთხვევაში, დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლები);
- სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი ცნობა;
- გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია;
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

კონკურსი ჩატარდება სამ ეტაპად:

- I ეტაპი – წარმოდგენილი დოკუმენტების გადარჩევა;
- II ეტაპი – პრეზენტაცია;
- III ეტაპი – კონკურსის შეჯამება.

დაინტერესებულმა პირებმა, გთხოვთ, გამოაგზავნოთ მითითებული დოკუმენტები, შემდეგ მისამართზე: hr@cu.edu.ge

გთხოვთ, საგნის დასახელების ველში მითითებულ შესაბამისი აკადემიური თანამდებობის და დისციპლინის სახელწოდება!

საბუთების მიღება: 2016 წლის 26 ივნისიდან – 26 ივლისის ჩათვლით

კავკასიის უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, გადაამოწმოს თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია და დაკავშირება მოხდება მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებთან.

ინფორმაცია

ეპოქალური მნიშვნელობის პროექტი

ლალი ჯალაძე

თბილისის ტექნოლოგიური ინსტიტუტი – BPI, მსოფლიოში, სიდიდით მეხუთე იქნება იტალიის, შვეიცარიის, იაპონიისა და ავსტრიის ტექნოლოგიური ინსტიტუტების შემდეგ. საქართველოში ამ უპრეცედენტო ინსტიტუტის პროექტის პრეზენტაცია, 23 მაისს, დილის სასწავლო საცდელი შეხვედრის ტერიტორიაზე მოხდა. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა წარადგინა „საქართველოს ტექნოლოგიური ინსტიტუტის“ პროექტი, რომლის დამფუძნებელი საქართველოს მთავრობაა. მისი ღირებულება რამდენიმე ასეულ მილიონ ევროს შეადგენს. საქართველოს ტექნოლოგიური ინსტიტუტის დაარსების მიზანი ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის შექმნა და სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განხორციელებაა ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, მათემატიკის, კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ინჟინერიის მიმართულებით.

„ეპოქალური მნიშვნელობის პროექტი, რომელიც დიდ სიკეთეს მოუტანს როგორც საქართველოს, ისე მთელ რეგიონს, – ასე შეაფასა პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანიამ ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროექტი, – ჩვენს ქვეყანაში ძალიან მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება იწყება, დღეს საფუძველი ეყრება ტექნოლოგიური ინსტიტუტის მშენებლობას. ეს ეპოქალური მნიშვნელობის პროექტია ჩვენი ქვეყნისათვის. მივესალმები ყველას ვინც ახლა ჩვენთან არის და იზიარებს ამ დიდ სიხარულს.“

რამდენიმე ასეული მილიონი ევროს ღირებულების პროექტს, რომლის მშენებლობას პრემიერმა მსოფლიოს ცნობილ მეცნიერებთან ერთად, ჩაუყარა საფუძველი, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“ აფინანსებს. გიორგი კვიციანიამ განსაკუთრებით მაღალია გადაუხადა ზიძინა ივანიშვილს კიდევ ერთი საშუალებით საქმის წამოწყებისთვის, ასევე სახელოვან მეცნიერებს, რომლებიც საგანგებოდ ამ დღისთვის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოვიდნენ.

„დარწმუნებული ვარ, ეს ინსტიტუტი ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრი გახდება რეგიონში. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ამ პროექტის ყველაზე მთავარი კომპონენტის – ნაწილაკთა ამაჩქარებლის მშენებლობის მნიშვნელობა. ფართო წრეებში „კოლაიდერად“ ცნობილი ნაწილაკების ამაჩქარებლის კომპლექსის მშენებლობით, ქართველ მეცნიერებს და მეცნიერთა ახალ თაობებს შეეძლებათ უმნიშვნელოვანესი კვლევების ჩატარება, მათ შორის მედიცინის, კერძოდ კი, ონკოლოგიის „ადრონული თერაპია“ მიმართულებით. ამ მხრივ, ჩვენი ტექნოლოგიური ინსტიტუტი მსოფლიოში მეხუთე იქნება იტალიის, შვეიცარიის, იაპონიისა და ავსტრიის შემდეგ,“ – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა და აღნიშნა, რომ მთავრობამ ექსპერიმენტული კვლევითი ბაზის მშენებლობისა და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში გამოცდილების გაზიარების მიზნით, თანამშრომლობის მემორანდუმში გააფორმა მსოფლიოს ისეთ წამყვან ცენტრებთან, როგორც არის: CERN (ბირთვულ კვლევათა ევროპული ცენტრი), CNAO (ადრონული თერაპიის ეროვნული ცენტრი), INFN (იტალიის ბირთვული ფიზიკის ეროვნული ინსტიტუტი) და სხვ., რომლებთან ერთადაც ხორციელდება აღნიშნული პროექტი.

პრემიერ-მინისტრი დარწმუნებულია, რომ თანამშრომლობა გამოჩნდება სასარგებლო და ნაყოფიერი იქნება: „ნაწილაკების ამაჩქარებლის მშენებლობის დასრულების შემდეგ, ამ ინსტიტუტს მსოფლიო დონის მასშტაბური კვლევითი ცენტრის დანიშნულება ექნება – ადრონული თერაპიის მიმართულებით იმუშავებს. ვფიქრობთ, მსოფლიოში სიმსიერების მკურნალობის ეს უახლესი მეთოდი წარმატებით დაინერგება ჩვენს ქვეყანაში. ჩვენი მიზანია, ეს ინსტიტუტი გახდეს წამყვანი უმაღლესი კვალიფიკაციის მეცნიერების თავშესაფარი ადგილი. ეს არის უაღრესად მნიშვნელოვანი პროექტი ჩვენი ქვეყნის კვლევითი პოტენციალის განვითარებისა და ინტელექტუალურ-საგანმანათლებლო დონის ასამაღლებლად. აქ განხორციელდება სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, სამეცნიერო კვლევები ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, მათემატიკის, კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ინჟინერიის მიმართულებით; აქ იქნება უნიკალური ექსპერიმენტული ბაზა თანამედროვე კვლევებისთვის.“

სტუდენტებს საშუალება ექნებათ, აქტიურად ჩაერთონ მსოფლიო სამეცნიერო კვლევებში. მათ სწავლას და პარტნიორ ორგანიზაციებში მივლინებებს მთლიანად ფონდი „ქართუ“ დააფინანსებს, რაც, პრემიერის შეფასებით, უდიდესი და უპრეცედენტო მხარდაჭერაა.

ამასთან, ინსტიტუტის სტუდენტები თვითონ მიიღებენ მონაწილეობას ექსპერიმენტული ბაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაში გაგებაში, რაც მათ დამატებით გამოცდილებას შესძენს. „დარწმუნებული ვარ, ჩვენ ძალიან მალე დავამტკიცებთ, რომ შეგვიძლია წვლილის შეტანა მეცნიერების და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების საქმეში. ჩვენ ვინყებთ იშვიათი, ძვირადღირებული, ძალიან პერსპექტიული პროექტის განხორციელებას, რაც დიდ სიკეთეს მოუტანს როგორც ჩვენს

ხალხს, ისე მთელ რეგიონს“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

საქართველოს ტექნოლოგიური ინსტიტუტის დაარსების მიზანია ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის შექმნა, ეს იქნება ბაზა თანამედროვე სამეცნიერო-ექსპერიმენტული კვლევებისთვის, რომელიც აუცილებელია ქვეყნის კვლევითი პოტენციალის განვითარებისთვის. გარდა სამეცნიერო დანიშნულებისა, ინსტიტუტს ასევე გამოყენებითი დატვირთვა ექნება, მათ შორის სიმსიერის ადრონული თერაპია. რეგიონში პირველი სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის შექმნა ხელს შეუწყობს მეცნიერთა თაობის განვითარებას, მათ თანამშრომლობას მსოფლიო დონის უნივერსიტეტების წამყვან პროფესორებსა და მკვლევარებთან.

„პირველივე დღიდან დაინახავთ იმ უპირატესობებს, რაც მსგავსი ტიპის კვლევითი ცენტრებს მოაქვს ქვეყნებისთვის“ – აღნიშნა პროფესორმა გია დვალამ.

ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროექტის პრეზენტაციას საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“ დამფუძნებელი, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ზიძინა ივანიშვილი მეუღლესთან ერთად დაესწრო. ღონისძიებაზე ასევე იმყოფებოდნენ საქართველოს მთავრობის წევრები, ცნობილი ქართველი და უცხოელი მეცნიერები და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

ბირთვული ფიზიკის ნაციონალური ინსტიტუტის პროფესორი სერხიო ბერტოლუჩი პროექტს რეალისტურსა და ამბიციურს უწოდებს: „ამბიციური გახლავთ იმ თვალსაზრისით, რომ ვაკეთებთ საუკეთესოს ამ სფეროში, ამბიციური იმ გაგებით, რომ პროექტს შეუძლია დაეფუძნოს ძალზე მყარ საფუძველს. მეცნიერული ინფრასტრუქტურა აღნიშნული ობიექტისთვის ახალი ინსტრუმენტების განვითარების გზებს შექმნის. უმნიშვნელოვანესია, ქვეყანამ იმუშაოს ინოვაციების სფეროში. დღეს ჩვენ ვზეიმობთ ისეთ მოვლენას, რომელიც ცხადყოფს, რომ საქართველოს ძალიან დიდი ამბიციები აქვს – ოცნება რეალობად აქციოს.“

საქართველოს ტექნოლოგიური ინსტიტუტის შექმნაში ქართულ მხარეს საერთაშორისო მრჩეველთა საბჭო დაეხმარება, რომლის შემადგენლობაში იტალიის, ბრიუსელის, ბოსტონის, ამერიკის შეერთებული შტატების, ესპანეთის უნივერსიტეტებისა და მსოფლიო კვლევითი ორგანიზაციების პროფესორები შედიან. ნობელის კომიტეტის წევრმა, პროფესორმა ლარს ბრიკმა განაცხადა: „დღეს ქართული მეცნიერების განვითარების უდიდესი დღის მონაწილე გახვდით. თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულების – ტექნოლოგიების განვითარება და ცოდნის შექმნა ყველა ქვეყნისთვის არის შანსი, გახდეს მოთამაშე მსოფლიო ბაზარზე და ეს პროექტი სწორედ ამის შანსს აძლევს საქართველოს.“

ინფორმაცია

ნორჩი ბიოლოგები საერთაშორისო ასპარეზზე

ლალი ჯალაძე

სრულიად შემთხვევით სოციალური ქსელში, გადავანყად ინფორმაციას თბილისის კლასიკური გიმნაზიის „ეკოკლუბის“ მოსწავლეების – **ლუკა ლობჯინიძის** და **ოთო გონაძის** – სტამბულში გამართულ მოსწავლეთა „სამეცნიერო-კვლევითი ნამუშევრების 25-ე საერთაშორისო შეჯიბრში“ (ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია) მოპოვებული წარმატების შესახებ. აქ უკვე ჩემი პროფესიული ინტერესი ჩაერთო და მოსწავლეები ფეისბუქით ვიპოვე. შეხვედრა დავეთქეთ და მათთან სკოლაში მივედი. ამ წერილის დანერგის მიმართულება მას შემდეგ შეიცვალა, რაც ორივე რესპონდენტმა ჩემთან საუბრისას განაცხადა, რომ ბიოლოგიის საგნის სიყვარული მათი მასწავლებლის, **ეკატერინე მითაიშვილის** დამსახურებაა. ახლა ეს წერილი მხოლოდ გამარჯვებულ მოსწავლეებზე კი არა, მათ მასწავლებელზეცაა, რომელიც პროფესიულად ასეთ წარმატებას მიაღწია. თან, რაც მთავარია, მომავალ პროფესიას ორივე მოსწავლე ბიოლოგიას უკავშირებს – ოთო წელს ამთავრებს სკოლას და გადაწყვეტილი აქვს სამედიცინო უნივერსიტეტში სცადოს ბედი, ხოლო ლუკა ჯერ მეთათვალსებელია და მისი ინტერესიც უკვე მკაფიოდ გამოკვეთილია, ამბობს, სწავლას აუცილებლად ბიოლოგიის მიმართულებით გააგრძელებს.

რამდენიმე წელია, რაც თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში „ეკოკლუბი“ ჩამოყალიბდა, მანამდე კი მხარეთმცოდნეობის კლუბად ფუნქციონირებდა. მისი წევრები აქტიურად თანამშრომლობენ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტთან – დადიან საბავშვო უნივერსიტეტის მიერ მოწყობილ ლექციებზე, სწავლობენ ექსპერიმენტების დაგეგმვას და ჩატარებას, ყოველწლიურად მონაწილეობენ სტუდენტთა და მოსწავლეთა სიმპოზიუმში, აწყობენ ერთობელ ექსპედიციებს და ამ ყველაფერს სათავეში უდგას ეკატერინე მითაიშვილი, მასწავლებელი, რომელმაც ლუკას და ოთოს ასე შეაყვარა ბიოლოგია.

„ბავშვები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დამყავს, ეცნობები ადგილობრივ ბიომრავალფეროვნებას და სწავლობენ ეკოლოგიურ მდგომარეობას, ანასთან ერთად ადგილობრივი მოსახლეობის ეთნოლოგიასაც აკვირდებიან და, რაც მთავარია, ამას ყველაფერს უნივერსიტეტის პროფესორებთან ერთად აკეთებენ.“ – მიამბობს ეკატერინე მითაიშვილი. თავადაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელია. ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე საუნივერსიტეტო სკოლა ფუნქციონირებს, რაც ძალიან ეხმარება სკოლის მოსწავლეებს მსგავსი პროექტების განხორციელებაში.

„კვლევები, რომლებიც ბავშვებმა ზაფხულში ჩაატარეს, ფაქტობრივად, მანამდე დაწყებული გაგრძელება – მიამბობს ეკატერინე, – რადგან საკვები დანამატებით გაჯერებულ პროდუქტს მოსწავლეები განუწყვეტლივ იღებენ სკოლის სასაუბროში, ქალაქის სწრაფი კვების ობიექტებში თუ ჩვეულებრივ სასურსათო მაღაზიებში, მოსწავლეთა მიზანი იყო, ენახათ მათი ზემოქმედება ცხოველების ქცევაზე და ნერვულ სისტემაზე, ასევე ორგანიზმის მთავარი ფილტრების – ღვიძლისა და თირკმლების – მდგომარეობაზე.“

თუმცა, ამ თემაზე მუშაობა ერთ-ერთი მისი სტუდენტის სადიპლომო ნამუშევარს უკავშირდება: „მრავალი წლის წინ, ერთ-ერთმა ჩემმა სტუდენტმა, მომავალმა ტოქსიკოლოგმა, მიხოვო, მერჩია რა თემაზე გაეკეთებინა დიპლომი და მე სწორედ ეს თემა შეეთავაზე. ხელში ჩავგვიარდა „ელკანას“ კატალოგი საკვებ-დანამატებზე, სწორედ ამ კატალოგში ვნახეთ პროდუქტები, რომლებიც უცხოეთში საერთოდ აკრძალულია, ზოგი საშობაო ჩვენთან კი ამას არანაირი ყურადღება არ ექცევა. ამიტომ გადავწყვიტეთ შეგვესწავლა, რა გავლენას ახდენს საკვები დანამატები ჩვენს ქცევაზე და ცალკეულზე დაკვირვებით საოცარი შედეგი მივიღეთ. სწორედ ამის შემდეგ, ბიჭებმა გადაწყვიტეს

ჩატარებინათ ექსპერიმენტი „კოქცილის ეფექტით“, რადგან, რეალურად ხომ, მხოლოდ ერთ რომელიმე დანამატს არ იღებენ ყოველდღიურად, ეს მასა დანამატების ნაკრებია. შედეგაც არ დააყოვნა, საკმაოდ რთული და კასკადური ექსპერიმენტი რამდენიმეჯერ გავიმეორეთ. ავირჩიეთ ისეთი პროდუქტები, რომელსაც ხშირად იღებენ ბავშვები, მაგ., რამდენიმე დასახელების წითლად და ყვითლად შეღებილი კანფეტები და „ჩიფსები“ (რადგან ის გადახარშული ზეთით მზადდება, გადახარშული ზეთი კი ორგანიზმისთვის მავნეა) და ძხვების ის სახეობები, რომელშიც ზუსტად ვიცოდით, რომ ჩვენთვის საინტერესო საკვები დანამატები იყო. ამ პროდუქტებით, როგორც ჩვეულებრივი საკვებით, გვებავდით მღებრ ვირთავებს და ვაკვირდებოდით მათ შთამომავლებს. ფაქტობრივად, სამი თაობის შედეგი გვექონდა. ზოგადად, ვირთავა გრძნობს, როცა ინამლება, მაგრამ ამ საკვების მიღებისას, ის ვერც კი გრძნობდა, როგორ ინამლებოდა – ექსპერიმენტით გამოვლინდა, რომ ღვიძლი გამკვებული იყო, თირკმელი – გამოფიტული. ლუკას და ოთოს ექსპერიმენტის მიზანი იყო, გამოგვევლინა, ხომ არ არის ბავშვების ქცევის და ყოველდღიური საკვების კორელაცია. მაგალითად, ჰიპერაქტიურობის, ალერგიულობის და ა.შ. გამომწვევი. სიმართლე გითხრათ, ქცევებში მართლაც იყო მსგავსება, განსაკუთრებით მოუსვენრობა, რაღაცის მიმართ შიში.“

ექსპერიმენტები უნივერსიტეტის ბაზაზე ხორციელდება, იქნება ის ქცევითი თუ ჰისტოლოგიური. ექსპერიმენტი, რომელიც ოთარ გონაძემ (XII კლასი) და ლუკა ლობჯინიმ (X კლასი), 2015 წლის ზაფხულში, უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად, უნივერსიტეტის პროფესორის, ეკატერინე მითაიშვილისა და თსუ-ს ასოცირებული პროფესორის, ირინა მოდებაძის ხელმძღვანელობით ჩაატარეს – „ზოგიერთი საკვები დანამატის „კოქცილის ეფექტის“ გავლენა ვირთავების ქცევაზე და შინაგანი ორგანოების მდგომარეობაზე“, მართლაც საინტერესო აღმოჩნდა. კვლევის მასალა დამუშავდა და გამაზავდა დასტავდა. მოსწავლეებმა, პედაგოგის ხელმძღვანელობით და კონფერენციის ორგანიზატორთა მითითებების თანახმად, თემა ინგლისურად თარგმნეს, გადაიღეს 3-წუთიანი ფილმი, რომელშიც საუბრობენ ექსპერიმენტის მიზნებზე, კვლევის მეთოდებზე, მიღებულ შედეგებსა და მომავალ პერსპექტივებზე. 2016 წლის 10-13 მაისს მასალა გაიგზავნა თურქეთის ქალაქ სტამბულში ჩასატარებელ მოსწავლეთა „სამეცნიერო-კვლევითი ნამუშევრების 25-ე საერთაშორისო შეჯიბრზე“ ფიზიკაში, ქიმიაში და ბიოლოგიაში.

ოთო გონაძე: „ეკოკლუბში“ დიდი ხანია, რაც გავწევრიანდით და კლუბის წევრები პატარა ასაკიდანვე გმონანილობთ სხვადასხვა პროექტებში, სიმპოზიუმებში გამაზადებთ საკონფერენციო თემებს და პრეზენტაციებს. ამ წლების განმავლობაში, ძალიან საინტერესო სამუშაო ჩავატარეთ. გარდა ამისა, ბევრს ვმოგზაურობთ საქართველოს მასშტაბით, თავაქვს ჩვენი 40-კაციანი სრული აღჭურვილობა სალაშქროდ, რომელიც „ეკოკლუბმა“ პრიზად მიიღო, რამდენიმე წლის წინ, ერთ-ერთ კონფერენციაზე. ყოველ სეზონზე, ვაზაფხული-შემოდგომის პერიოდში, ვანყობთ ეკოექსპედიციებს საქართველოს ულამაზეს კუთხეებში, ბოლოს რაჭაში ვიმყოფებოდით 5-დღიან ექსპედიციაში, რომელიც ჩემთვის დაუფინსყარია.

გარდა ამისა, ვანარბობთ კვლევებს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტთან ერთად. ისინი გვეხმარებიან სხვადასხვა კვლევების მომზადებას თუ ექსპერიმენტების ჩატარებაში. იმაშიც გავიმართლა, რომ ჩვენი მასწავლებელი ეკატერინე მითაიშვილი უნივერსიტეტის ლექტორიცაა. „ეკოკლუბში“, ძირითადად, გარემოს დაცვის საკითხებით ვართ დაინტერესებული. კვლევა, რომელიც ჩვენ ჩავატარეთ, ფაქტობრივად, ჯანსაღი ცხოვრების წესს ეხება (იმან, რასაც ვჭამთ, არ უნდა მოგვკლას), მოუწოდებთ ყველას – ვიკვებოთ ჯანმრთელად. ეს ერთ-ერთი მორიგი კვლევა იყო და თემაზე მუშაობისას სულაც არ გვექონდა გამიზნული, რომ რაიმე სახის კონკურსზე მოხვდებოდა. გა-



დაწყვეტილება, რომ გვეცადა ბედი, სრულიად შემთხვევით მივიღეთ, როცა სკოლაში მოვიდა მონვევა სტამბულის კონფერენციიდან. თემა საკონფერენციო მოთხოვნების შესაბამისად მოვამზადეთ და გავაგზავნეთ. მოხვდით ფინალში და გავემგზავნეთ მე, ლუკა და ეკა მასწავლებელი. ხუთდღიანი ტური სტამბულში საკმაოდ შთამბეჭდავად და მომხიბვლელად გამოიყურებოდა, ვფიქრობდით, კონფერენციაში მონაწილეობით, გარკვეულ გამოცდილებას მაინც მივიღებდით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ ყველაფერთან ერთად, საპრიზო ადგილიც ავიღეთ.“

ლუკა ლობჯინიძე: „ცხოველები ბავშვობიდან მაინტერესებდა, მაგრამ ბიოლოგიის მასწავლებელმა ეკატერინე მითაიშვილმა კიდევ უფრო დამაინტერესა და ჩამართო ამ საკითხების კვლევამ. ასე დაუწყებინა „ეკოკლუბს“ და ნელ-ნელა აღმოვჩნდი ამ პროექტებში. სიმართლე გითხრათ, წარმატებას არ ველოდი, რადგან საკონკურსოდ ძალიან სერიოზული თემები იყო წარდგენილი, მაგრამ ჩვენმა თემმა მაინც გაიმარჯვა. საკმაოდ მასშტაბურ კონკურსში მეორე ადგილი ავიღეთ, პრიზი – ფულადი თანხა. ძალიან საინტერესო ხუთი დღე გავატარეთ სტამბულში. მომავალშიც ვგეგმავ გავაგრძელო მუშაობა ამ მიმართულებით, საერთოდ კი, ვფიქრობ, ჩემი პროფესიაც ბიოლოგიას დაუწყებშირო, რაც ჩემი მასწავლებლის დამსახურებაა.“

კონკურსი საკმაოდ მასშტაბური იყო, წარდგენილი 579 თემიდან საფინალოდ შეირჩა 100 თემა 21 ქვეყნიდან. ორგანიზატორები იმასაც ამბობდნენ, რომ, ტრადიციულად, კონფერენციას, გასულ წლებში, მეტი მოხიბვლა ჰყავდა, წელს შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ გავლენა იქონია და გაცილებით ნაკლებმა ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა. ბიოლოგიაში პირველ ადგილზე გავიდა აზერბაიჯანი, რადგან მათი თემა უფრო პრაქტიკულ გამოსავალს ეხებოდა. „სიმართლე გითხრათ, გავიკვირდით, როცა თეორიული თემის მიუხედავად, მეორე ადგილზე გავიდით, – ამბობს ეკატერინე და სამომავლო გეგმებსაც გვაცნობს – ჩვენგან ამ თემის პრაქტიკულ გამოსავალს ელიან, წინ დიდი გვემები გვაქვს. მართალია, საშობოების მიუხედავად, ამ პროდუქტებს წარმოებიდან არაფერი ამოიღეს, მაგრამ იქნებ ხალხური მეთოდების საშუალებით, შევამციროთ ღვიძლის და თირკმლის დაზიანების ეფექტები. ეს იმას ნიშნავს, რომ ის საკვების დანამატებთან ერთად, ჩვენ მიერ შეთავაზებული ხალხური დანამატებიც გამოიყენონ, რათა ბავშვებში თუნდაც ალერგიული ფონი და ჰიპერაქტიურობა შემცირდეს.“

სტამბულში გამართულ მოსწავლეთა საერთაშორისო კონფერენციაზე მოხვდნა, თავისთავად, უკვე წარმატებაა, მით უფრო, როცა სკოლის გუნდი მეორე საპრიზო ადგილით ბრუნდება. ვულთავით ჩვენს მოსწავლეებს და მათ პედაგოგს წარმატებას და „ეკოკლუბს“ კიდევ ბევრი წარმატებული პროექტის განხორციელებას ვუსურვებთ.

„ეტალონი-2016“ – ანრი ფალავას ტრიუმფი

საქართველოში ყველაზე ფართომასშტაბიანი, 10-წლიანი გამოცდილების საგანმანათლებლო პროექტის „ეტალონი-2016“-ის ფინალი გაიმართა.

ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის გამარჯვებული და საქართველოს „ეტალონი მოსწავლე“ ბათუმის კერძო სკოლა „ნიკეს“ მოსწავლე **ანრი ფალავა** გახდა. ანრიმ 31,11 წამში 75 ქულის მოპოვება შეძლო. აღსანიშნავია, რომ მას არც ერთ კითხვაზე არ შეუკავებია თავი. ანრის ფულადი პრიზი – 20 000 ლარი გადაეცა.

მეორე ადგილზე გავიდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ქვედა კვირიკის საჯარო სკოლის მოსწავლე **ნია შაქარაშვილი**. მას საჩუქრად 6 000 ლარი გადაეცა, ხოლო მესამე ადგილის მფლობელი გახდა ლენტეხის მეორე საჯარო სკოლის მოსწავლე **გაგა გვიჭიანი**, მას 4 000 ლარი გადაეცა.

„ეტალონის“ ფინალურ შოუ-კონკურსში საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტის და თბილისის (10 გამგეობის) 82 „ეტალონი-მოსწავლე“ და მათი 7.000 გულშემამტკიცარი მონაწილეობდა. ფინალურ შოუ-კონკურსს თბილისის სპორტის სასახლემ უმასპინძლა.

საქართველოს მასშტაბით, 150-ზე მეტი შეხვედრა და „ეტალონის“ თამაში განხორციელდა. პროექტი მიმდინარეობდა სლოგანით – ვინ გახდება საქართველოს „ეტალონი მოსწავლე“.

სოციალურ-საგანმანათლებლო მედიაპროექტი 10 წელია არსებობს ქართულ მედიასივრცეში, ის დღეს უკვე არა მარტო ერთი კონკრეტული გადაცემა, არამედ მრავალმიმართულებიანი პროექტია, რომლის კონცეფცია და სლოგანი ერთ მარტივ, თუმცა მოცულობით წინადადებაში ეტყვა: „სახალხო იდეა „ეტალონი“ – ბედნიერება ყველას სჭირდება!“

„ეტალონსა“ და მის პროექტებში უშუალო მონაწილეობა მიღებული აქვს საქართველოს ყველა კუთხისა და ქალაქის 80.000-ზე მეტ წარმატებაზე ორიენტირებულ ახალგაზრდას. პროექტს აქტიურად გულშემამტკიცებობს საქართველოს 500.000 ოჯახზე მეტი.

„ეტალონი“ გამოგონებული და დაპატენტებულია საქართველოში და მსოფლიოში არსებულ ინტელექტუალურ თამაშებს შორის ანალოგი რეალურად არ აქვს. იგი ავტობიოგრაფიული განწყობის თეორიაზე, ეყრდნობა კითხვების შედგენისა და დასმის მეცნიერულ მიდგომებს და ქულათა დაანგარიშების ინოვაციურ სისტემას.

2015 წლის შემოდგომიდან „ეტალონის“ შემოქმედებით გუნდი საქართველოს რეგიონებში გავიდა პროექტის ახალი, ნოვატორული სტრატეგიით. საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატ „ეტალონის“ ჩატარება გულისხმობს უკლებლივ ყველა მუნიციპალიტეტსა და თვითმართვალ ქალაქში, ადგილებზე, „ეტალონის“ კონკურსების არასატელევიზიო ფორმატით გამართვას.



ინფორმაცია

საქართველოს შემოქმედ მოსწავლეთა შეკრება „კალმოსანი“

ანა ფირცხალაიშვილი

7 მაისს, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის სარკეებიან დარბაზში, გაიმართა საქართველოს შემოქმედ მოსწავლეთა შეკრება „კალმოსანის“ ლიტერატურული სალონი, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსული მწერლური ალლოთი მომადლებული მოსწავლეები.

სალონზე მონაწილე იყვნენ სასახლის ლიტერატურული სტუდიის აღზრდილთა სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები - მწერლები, პოეტები: **დათო ბარბაქაძე, მერაბ მეტრეველი, ლექსო დორეული, ბექა ადამაშვილი, სალომე ჯანელიძე, ფიქრია ფირცხალაიშვილი, მარიამ შოგინაძე.** შემფასებელთა შორის იყო სტუდიის ყოფილი წევრი **თიკო რეხვიაშვილი.** მის მიერ ავტორთა ნაწარმოებების გულწრფელმა შეფასებამ და ემოციურად გაულერებულმა საკუთარმა ლექსმა აგრძობინა ყველას, რომ არ არსებობს უნარშეზღუდული ადამიანი, რაც დარბაზის მქუხარე ტაშმაც დაადასტურა.

„წლებადე შეკრებაზე - თქვა სექციის ხელმძღვანელმა პოეტმა **გული სალუქვაძემ** - ყველა ჩვენგანის გულისყური მიპყრობილია თერჯოლის მე-11 კლასელი მოსწავლის **გელუკა ბუილიშვილისადმი.** გელუკა ინკლუზიურ განათლებას სახლში ლეზბოს, რადგან მას დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეუძლია. შარშან „კალმოსანთა“ შეკრების სხდომაზე ინტერნეტის საშუალებით შეხვდა დარბაზს და საქართველოს მწერალთა სახლის რჩეულიც გახდა, რამაც ენერჯით აავსო ნიჭიერი შემოქმედი. ნელს ივი (მშობლების და პედაგოგის დახმარებით) თავად ჩამოვიდა თბილისში, როგორც „კალმოსანთა“ შეკრების მონაწილე. გელუკა მრავალმხრივი ნიჭითაა დაჯილდოებული - წერს ლექსებს, მოთხრობებს, ხატავს. სათქმელის გამოხატვის ფორმად მან ნელს „პაიკუ“ აირჩია, რითაც ინდივიდუალური პოეტური ხედვა და ემოცია წარმოაჩინა.

შემოქმედ მოსწავლეთა შეკრებაზე სიტყვა წარმოთქვა მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დირექტორმა **ქეთევან ფიქრიაშვილმა.** მან სალონზე წარმოდგენილ ნაწარმოებთა აღმანახის სახით გამოცემის სურვილი გამოთქვა.

„კალმოსნებს“ მისასალმებელი სიტყვით მიმართა და წარმატებები უსურვა თბილისის საკრებულოს დეპუტატმა, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ **თამარ ტალიაშვილმა;** დარბაზს ასევე სიტყვით მიმართა ორგანიზაცია „ბავშვი, ოჯახი, საზოგადოების“ დამფუძნებელმა **მაია ბიბილეიშვილმა.**

დასასრულს საქველმოქმედო ორგანიზაცია „ადენის“ დამფუძნებელმა ფიქრია ფირცხალაიშვილმა და მარიამ შოგინაძემ გამორჩეულად ნიჭიერ შემოქმედებს საჩუქრები გადასცეს.



იმ წამოწყებ

პაიკუ

არ შემიძლია ღრმად ჩავისუნთქო შემოდგომა, იგი მიდის, მტოვებს და იქით წლამდე აღარ მეყოლება...

უკვე მენატრება. ვიცი, წავა და მე უიმისოდ უპაეროდ მოვეკვები.

ახლა ღამეა... ხეებმა ალაგ-ალაგ დახეული ძონძებიც შემოიძრეს ნელს ზემოდან, ფოთლებმა დაკარგეს ერთმანეთი.

ღამე გაიტრუნა, ვარსკვლავები ისე აღარ კიაფობენ ცაზე, გლოვობენ ჩემთან ერთად ნოემბრის უეცარ გარდაცვალებას...

აი, მიდის, ვგრძნობ, როგორ მიჭირს მის გარეშე გზებზე უჩუბარი ხეტიალი...

ვისხენებ მის სილამაზეს, სინატიფეს, სიმორცხვეს, ხანაც სიბრაზეს და ყველაფერს ერთად ვიკრავ გულში, არ მინდა, გავეშვა ამ ღამესთან ერთად ის მოგონებები, რომელიც მან დამიტოვა.

ნინო გუზარიაშვილი

საგარეჯოს №3 საჯარო სკოლის VIII კლასის მოსწავლე

პეტი

როცა თვლები ძველებურად ხალხს ვერ აოცებს, მე მოვალ შენთან დაგიკოცნი ჩუმად ნაოჭებს.

როცა ჭაღარა შავ კულულებს, თეთრად დაათოვს, მე მოვალ შენთან, ჩემო ბები, და მეც გაგათბობ.

როცა შენს ნაზ ხმას წლების დარდი შემოერევა, მჯერა, ამაყ გულს რომ ყამთასვლა ვერ მოერევა.

დაბოლოს, როცა სევდა შენში ფესვებს გაიდგამს, შენ გვერდით მყოფი მძიმე წუთში ხელში ავიყვან.

თუმცა ნუ შიშობ, ეგ თვლები ისევ მაოცებს, შენ არც ჭაღარას შეუცვლიხარ და არც ნაოჭებს!

თიონა დემეტრაშვილი

რუსთავის №24 ქართული გიმნაზიის XII კლასის მოსწავლე

ქუდი

მთელ დღეს ზოგი შიგ უფურთხებდა, ზოგი იმას უგდებდა, რასაც ითხოვდა. თავდაყირა არბენინებდა, ხან ლოცვა, ხანაც გინება ეხეთქებოდა მისი ფსკერის ზედაპირზე სირცხვილით ჩატრიალებულ ბორჯღალოს.

დღისით მზე ეტეოდა შიგ, საღამოს მთელი დღის დალილსა და გაოფლიანებულს გახუნებული და დაძველებული იერი ჰქონდა, თუმცა მაინც ვერ ელეოდა, რადგან ერთადერთი იყო, რაც ებადა საკუთარი, საცოდავი და საყვარელი ქუდი.

გიორგი ხილაძე

შუახვეის რაიონის სოფელ ფურტიოს საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე

მოდი, იქ წამოწყებ, სადაც ოკეანე ცაში უდაბნოობს, სადაც დაისები ნითლად დასისხლულან, სადაც მზის სხივები ნათელს უარყოფს და სადაც ბილიკები დენითი დანისლულან, სადაც მწვერვალებზე მუნჯნი ყვირიან და სადაც უსინათლო ხედავ ზეცის ნათელს, პირით მომღიმარნი გულით ტირიან და სადაც ეშმაკები ღმერთს უნთებენ სანთელს, სადაც ვარსკვლავებზე ირმის ნახტომებით გადავადგილდებით კალმის მშვილდოსნები, გეომეტრიებიდან ლექსის მართობებით მუზამ სულში დამჭრა მშვიდზემშვიდ ოცნებით, სადაც ზეციური სხივთა მნათობების ვერცხლის სილაყვარდე ნატურალურია, სადაც სიკვდილიც კი ნაზად, ბუნებრივად მშვენიერია და აკურატულია. სადაც პოეტები შმაგი ქარტეხილით მეხის გავარდნებით ჰიპერბოლდებიან, სადაც მუზებიც კი მათით ლექსის მწერლებს თან ბატონობენ, თანაც მონდებიან.

ბორღა გურაშიძე, ცაგერის რაიონის სოფელ ბარდნალის ლადო ასათიანის სახელობის საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე

წვიმის სტუმრობა

მზე გაიპარა და მთების გულში, ცარიელ სოფელს წვიმები სტუმრობს, დრო სახლებს სახეს და სახელს უშლის, ხეზე ბალღივით აცოცდა სურო.

სად ახსენდებოთ, სად აგონდებოთ, სოფელი, მთები, მწვანე ბუნება, ისმის ქუხილი, ელვის გოდება, მინა თავის თავს ესაუბრება.

სახლმა ძალიან ბევრი იცადა, ეს არ გეგონოთ კაცის სიკვდილი, იქ საუკუნე გარდაიცვალა, ისე რომ, მინაც არ აქვს მიყრილი.

მზე ჩაეღვარა მთებს შუაგულში, ცარიელ სოფელს წვიმა თუ სტუმრობს, დრო სახლებს სახეს და სახელს უშლის, ხეზე ბალღივით აცოცდა სურო.

ნინო ფუტყარაძე ბათუმის №2 საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე

ბებერი ლეღვი ეთხოვება ქარვისფერ ფოთლებს... ლობებესა და ქვაფენილზე თვალმინაბულებს...

ველურმა ქარმა წუხელ წაშალა გაზაფხულის ნაზი ფერები.

ჭორიკანა... ქვემძრომელა... ეჰ, სადა არის თავმდაბლობა შენ, ჩემო გელა?!

ქარი არ ინდობს მოხუც ობობას, მთლად დაუფლითა აბლაბუდა უკანასკნელი...

წვიმს... წვიმს... წვიმს... შევცქერით ცრემლებს ჩვენთვის ციდან დადენილთ...

ღამის სიმშვიდეს რას ერჩიან ჭრიჭინობლები? ეგებ მართლა და დაძინებას არ აპირებენ?

ნაცნობ ბილიკებს ის მისდევდა ფეხაჩქარებით, თითქოს უნდოდა, წარსულის ლანდს დასდევნებოდა.

მინდვრის გვირილებს ემალება ჭიამაია, ცისფერ სინაზეს ასხივებდა დღეს ია-ია.

ბებერო მინავ, რამდენ ტკივილს იტან კაცთავან! ალბათ დროთა ცვლას სიყვარული თუ გატანინებს.

მთიებივით ბრწყინვალე, ელვარე თვალთ, შემოგვხაროდა დედის პატარა ხელიდან ქორწინების ოქროს ბეჭედი...

ტოტებს იფარებენ სხეულზე ხეები... რა ქნან, რომ სიშიშვლის რცხვენიათ.

გიორგი ბუილიშვილი თერჯოლის მუნიციპალური ცენტრის ბავშვთა უფლებების დაცვის კლუბის წევრი, XI კლასის მოსწავლე

დიპლომატიური შეჯვარება

გენეტიკური ამოსახვევის ზეპირად ამოხსნის მეთოდები:

ბიოლოგიურ მეცნიერებათა განვითარება თანამედროვე ეპოქაში წარმოუდგენელია გენეტიკის, როგორც ბიოლოგიის წამყვანი დარგის გარეშე, რომელიც ეფუძნება მემკვიდრეობის ქრომოსომულ თეორიას, გენეტიკური ანალიზის მეთოდებსა და პრინციპებს.

გენეტიკის საკითხების თეორიული ცოდნა, პრაქტიკულ დონეზე შესაბამისი ამოცანების ამოხსნით მიიღწევა, რაც სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმით საბაზო და საშუალო საფეხურის IX-XI კლასების დონეზე სწავლებით განისაზღვრება, რაც, თავის მხრივ, ბიოლოგიის საატესტატო და ეროვნული გამოცდით გათვალისწინებული საკითხების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

საგნის გამოცდის პრაქტიკული ნაწილი კი მოსწავლეთა მიერ ილუსტრირებული ამოცანების გადაჭრას მოითხოვს მონაცემთა ანალიზის, სტატისტიკისა და ალბათობის თეორიის ელემენტების გამოყენებით.

გენეტიკური ამოცანების ჩვეულებრივი სტანდარტული გზით ამოხსნა, მოგეხსენებათ, მოსწავლისაგან დიდ ძალისხმევასა და საკმაოდ დროს მოითხოვს, მით უმეტეს, თუ საკითხი არა მხოლოდ მოწონი, არამედ დიპლომატიური ამოცანების ამოხსნას ეხება. ამოცანების ამოხსნის ეტაპებია:

- ამოცანის პირობის გაცნობა;
• მშობლების ფენოტიპისა და გენოტიპის განსაზღვრა, მათი ჩანერა;
• გამეტების ტიპების განსაზღვრა და ჩანერა;
• წარმოქმნილი თაობის ფენოტიპის და გენოტიპის ჩანერა;
• შეჯვარების შედეგის გაანალიზება, წარმოქმნილი თაობის ფენოტიპის და გენოტიპის წარმოდგენა;
• შეჯვარების შედეგების გაანალიზება; ფენოტიპურ და გენოტიპურ კლასთა თანაფარდობის განსაზღვრა-შეჯვარების ზოგადი სქემის შედგენა;
• ამოცანის პირობაში მოცემულ ყველა შეკითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა.

მოსწავლეს უძნელდებათ, ელექტრონულ ფორმატში, აღნიშნული აქტივობის მოკლე დროში შესრულება, რაც, ხშირ შემთხვევაში, მათ შიშსა და გენეტიკური ამოცანების მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას უფიქრებს.

ჩემი პედაგოგიური საქმიანობის მრავალწლოვანი კვლევისა და პრაქტიკაში დანერგვის საფუძველზე შემუშავებული მეთოდები საშუალებას მისცემს ბიოლოგიის მოსწავლეებს, დაეხმარონ მოსწავლეებს შესწავლილი მასალის უკეთ ათვისებისა და პრაქტიკულად გამოყენების იმ გზის მიგნებაში, რომელიც ასტიმულირებს მათში შემეცნების, მონაცემთა ანალიზის, მათი ინტერპრეტაციის, კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას.

გენეტიკური ამოცანების ამოხსნისათვის საჭირო წინარე ცოდნა მოსწავლისაგან მოითხოვს გენეტიკაში არსებული სპეციფიკური ცნებების, სიმბოლოებისა და ტერმინების გამოყენებას, კერძოდ გ. მენდელის კანონების (I-II-III) სრულფასოვან ცოდნას, სწორედ რომ მათზეა დაფუძნებული გენეტიკური ამოცანების ზეპირად ამოხსნის მეთოდები, რომელთა პრაქტიკულ გამოყენებას მენდელის III კანონი, გენთა დამოუკიდებლად განაწილების კანონი განსაზღვრავს. მისი გამოყენება იწყება დიპლომატიური შეჯვარების დროს და მოქმედებს ნებისმიერი პოლიჰიბრიდული შეჯვარების შემთხვევაში. მენდელის კანონები კი სამართლიანია მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვადასხვა ალელის გენები მოთავსებულია ჰომოლოგიური ქრომოსომების სხვადასხვა ნევილში.

- 1. AAxaa 100%; - მენდელის I კანონი - ერთგვარობის წესი;
2. AaXaA 75%/25%; 3:1; - მენდელის II კანონი - დათიშვის კანონი;
3. AaXaa 50%/50%; 1:1; - გამაანალიზებელი შეჯვარება.

მესამე ფორმულის გამოყენება გვჭირდება მხოლოდ სრული დომინირების დროს, რადგან ამ შემთხვევაში, გენოტიპების რაოდენობა ყოველთვის ჭარბობს ფენოტიპების რიცხვს, მაგრამ გენოტიპის გამოცნობა ფენოტიპის მიხედვით არ შეგვიძლია, ამისათვის უნდა ჩატარდეს გამაანალიზებელი შეჯვარება, რომლის შედეგებიდან გამომდინარე ვმსჯელობთ უცნობი ინდივიდის ჰომო ან ჰეტეროზიგოტური ხასიათის შესახებ. წარმოგიდგინებ გენეტიკური ამოცანების ზეპირად ამოხსნის სამ მეთოდს:

I მეთოდი

I მეთოდის თანხმად, შესაძლებელია ნებისმიერი დი და პოლიჰიბრიდული შეჯვარების დაშლა და მონოჰიბრიდული შეჯვარების გამომსახველ სამ ფორმულაზე დაყვანა; ამ პრინციპის გამოყენებით, ილუსტრაციაზე მოცემული ნებისმიერი დიპლომატიური შეჯვარების სქემას შეგვიძლია შევეუსაბამოთ შემდეგი გენოტიპები:

- 1.1. AABbX aabb } AAxaa ; BbXbb 100%
1.2. AAbb XaaBB } AAxaa ; BBXbb 100%
1.3. AaBbX AaBb } AaXaa ; 3:1; BbXBb 3:1; 75%/25%; 75%/25%; 9/16:3/16:3/16:1/16;

- 1.4. AaBbX aabb } AaXaa 1:1; BbXbb 1:1; 25%/25%25%/25%; 1:1:1:1;
1.5. Aabb XaaBb } AaXaa 1:1; BbXbb 1:1; 25%/25%25%/25%; 1:1:1:1;
1.6. AaBb XAaBb } AaXaa 3:1; BbXbb 1:1; 3/8:3/8:1/8:1/8; 37%/13%36%14%;
1.7. AaBb XaaBb } AaXaa 1:1; BbXBb 3:1; 3/8:3/8:1/8:1/8; 37%/13%36%14%;
1.8. AABb Xaabb } AAxaa ; 100%; BbXbb 1:1; 50%/50%; 1:1;
1.9. AaBBX aabb } AaXaa -1:1; BBXbb - 100%; 50%/50%; 1:1;
1.10. AabbXaaBB } AaXaa -1:1; BBXbb - 100%; 50%/50%; 1:1;
1.11. aaBbX aabb } aaXaa -100%; BbXbb 1:1; 50%/50%; 1:1.

II მეთოდი

II მეთოდი ემყარება ინდივიდთა გენოტიპებიდან შესაძლო რაოდენობის შესაბამისი გამეტების წარმოქმნისა და მათი ერთმანეთთან გადამრავლების პრინციპებს:

- 2.1. AABbX aabb } ABXab -> 1X1=1; 100%
2.2. AAbb XaaBB } AbXaB -> 1X1=1; 100%
2.3. AaBbX AaBb } AB; Ab; aB; ab X AB; Ab; aB; ab -> 4X4=16; 9/16:3/16:3/16:1/16;
2.4. AaBbX aabb } AB; Ab; aB; ab X ab -> 4X1=4; 1:1:1:1; 25%/25%/25%/25%.
2.5. Aabb XaaBb } Ab; abXaB; ab -> 2X2=4 1:1:1:1; 25%/25%/25%/25%.
2.6. AaBb XAaBb } AB; Ab; aB; ab X Ab; ab -> 4X2=8; 3/8:3/8:1/8:1/8; 37%/13%36%14%;
2.7. AaBb XaaBb } AB; Ab; aB; ab X aB; ab -> 4X2=8; 3/8:3/8:1/8:1/8; 37%/13%36%14%;
2.8. AABb Xaabb } AB; AbXab -> 2X1=2; 1:1; 50%/50%;
2.9. AaBBX aabb } AB; aBxab -> 2X1=2; 1:1; 50%/50%;
2.10. AabbXaaBB } Ab; ab XaB -> 2X1=2; 1:1; 50%/50%;
2.11. aaBbX aabb } aB; abXab -> 2X1=2; 1:1; 50%/50%.

III მეთოდი

III მეთოდი გულისხმობს დიპლომატიური შეჯვარების ამსახველი გამზადებული ფორმულების გამოყენებას, რომელთა მიხედვით მოცემულ ჰიბრიდთა F1; F2; და ა.შ. თაობებში ფენოტიპური დათიშვის ან, პირველი თაობის ჰიბრიდების ერთგვარობის საფუძველზე, შეგვიძლია განვსაზღვროთ მშობლიური ფორმების გენოტიპები P; ან პირიქით:

- 3.1. AABbX aabb -> AaBb; 100%;
3.2. AAbb XaaBB -> AaBb; 100%;
3.3. AaBbX AaBb -> 9(AABb;2AABb;2AaBB;4AaBb); 3(AAbb 2Aabb); 3(aabb; 2aaBb); 1(aabb) ანუ 9/16:3/16:3/16:1/16;
3.4. AaBbX aabb -> 25%AaBb; 25% Aabb; 25% aaBb; 25% aabb; ანუ 1:1:1:1;
3.5. Aabb XaaBb -> 25%AaBb; 25% Aabb; 25% aaBb; 25% aabb ანუ 1:1:1:1;
3.6. AaBb XAaBb -> 3(AABb; 2AaBb); 3(AAbb;2Aabb); 1(aabb); 1(aabb); 3/8:3/8:1/8:1/8; ანუ 37% 36% 13% 14%;
3.7. AaBb XaaBb -> 3(AaBB; 2AaBb); 3(aabb; 2 aabb); 1(Aabb); 1(aabb); 3/8:3/8:1/8:1/8; ანუ 37% 36% 13% 14%;
3.8.* AABb Xaabb -> 1AaBb: 1Aabb; 50%/50%;
3.9.* AaBBX aabb -> 1AaBb: 1aabb; 50%/50%;
3.10.* AabbXaaBB -> 1AaBb: 1aabb; 50%/50%;
3.11.* aaBbX aabb -> 1aaBb: aabb; 50%/50%.

ამრიგად, აღნიშნული მეთოდების გამოყენება, რომლებიც მრავალჯერ ნაცადი და გამოყენებულია სასწავლო პროცესში, სრულად ერგება მოსწავლის, აბიტურიენტის საჭიროებას, ინტერესებს და განსაზღვრება ეროვნული სასწავლო გეგმით საგნის სტანდარტის შესაბამისად (ბიოლ. XI.6.1; 6.8 კვლ. XI.3. XI.4.) (ბიოლ. IX.6. IX.6.2. კვლ. IX.3. IX.4.).

მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი მეთოდები, ილუსტრირებული ამოცანების სათანადო მაგალითების გამოყენებით, ელექტრონულ ფორმატში, მოსწავლეს აძლევს საშუალებას, აირჩიოს მისთვის უფრო მოსახერხებელი ოპტიმალური მიდგომა გენეტიკური ამოცანების ზეპირად ამოხსნისათვის და, საჭიროების შემთხვევაში, შეამოწმოს ამოცანის ამოხსნის სტანდარტული გზის გამოყენებით, რომლის ქმედარტების დადასტურებაც, მერწმუნეთ, მისთვის დიდი კმაყოფილების მომტანი იქნება.

მედიკალური კომპიუტერი

* შენიშვნა: დიპლომატიური შეჯვარების დროს დათიშვა 50%/50%, ანუ 1:1; მორგანის კანონის სრული შეჭიდულობისაგან განსხვავებით ნიშნავს, რომ თუ პირველი წყვილი ნიშნის მიხედვით დათიშვა არის 100%, მეორე წყვილი ნიშნით აუცილებლად იქნება 1:1, ანუ 50%/50% და პირიქით.

Advertisement for 'ბაკურის თარი' publishing house. It features a grid of book covers for children's educational materials. The books are organized into two main sections: 'ქართული ენა' (Georgian Language) and 'ნამდვილი და მოგონილი ამბები' (True and Imagined Stories). The covers are numbered 1 through 6. Text on the left and right sides of the grid provides details about the books, including the price per book (17.70 GEL and 30.40 GEL) and the total price for the entire set (9.90 GEL). The publisher's name 'ბაკურის თარი' is prominently displayed at the top of the advertisement.

გამოსვლილება

წერისა და წარმოთქმის შესწავლათა ტიპები სომხურენოვან მოსწავლეებში და მათი დაძლევის გზები

ნებისმიერი ენის დაუფლებაში მნიშვნელოვანია მართლმეტყველება და მართლწერა, რადგან ენის ფლობის დონეს, ლექსიკურ მარაგთან ერთად, ეს ორი ფაქტორიც განაპირობებს. მართლმეტყველება და მართლწერა, გრამატიკული ნორმების დაცვის გარდა, გულისხმობს სიტყვისა თუ ბგერის სწორად წარმოთქმასა და სწორად ფიქსაციას. ჩვენ მიერ განსახილველი საკითხი ეხება სომხურენოვან მოსწავლეებში წარმოთქმისა და წერის პრობლემებს და გვერდს ვუვლით გრამატიკულ კატეგორიებთან დაკავშირებულ საკითხებს. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, წერასა და წარმოთქმაში პრიორიტეტი წარმოთქმას უკავია, რადგან სწორად წარმოთქმული სიტყვა თუ ბგერა ნიშნავს ენის შემსწავლელის მიერ სიტყვის/ბგერის ორთოგრაფიული ხატის სწორად აღქმას და, შესაბამისად, სწორად წერას.

ცნობილია, რომ მეორე/უცხო ენის წარმოთქმაში დიდი მშობლიური ენის გავლენა. ენის შემსწავლელი, შესასწავლი ენის ფონემას მშობლიურის ყალიბში აქცევს და ისე წარმოთქვამს. აქედან მოდის წარმოთქმის ძირითადი პრობლემა, მაგრამ ადვილად დასაძლევია, თუ მოსწავლეს პირველი კლასიდანვე ასწავლის მისი მასწავლებელი, რომლისთვისაც შესასწავლი ენა მშობლიურია.

როგორც აღვნიშნეთ, წარმოთქმისა და წერის პრობლემა დგას არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეების წინაშე და ქართულის/მეორე ენის მასწავლებლის ერთ-ერთი ამოცანა ამ პრობლემის მიზეზისა და მისი დაძლევის გზების მოძებნაა. სომხურენოვან სკოლაში მუშაობის გამოცდილებამ დამარწმუნა ზემოთ აღნიშნული მოსაზრების სისწორეში: დაწყებითი კლასის მოსწავლეები უფრო ადვილად ითვისებენ ქართულს, თითქმის უაქცენტოდ საუბრობენ, სწორად წარმოთქვამენ და უკეთ წერენ, ვიდრე უფროსკლასელები. შესაბამისად, მათში წერის პრობლემაც ნაკლებია. თუმცა წარმოთქმისა და წერის პრობლემა, საშუალო და სუსტი მოსწავლეთა მოსწავლეებში, აქაც დგას. ჩვენ შევეცადეთ გაგვეჩვენოთ ამ პრობლემის მიზეზები, მოგვეჩინა პრობლემის იდენტიფიკაცია, რომ დაგვესახა მისი აღმოფხვრის გზები. ამ მიზნით, შევისწავლეთ V, VI, VIII, X, XII კლასების მოსწავლეთა საკონტროლო წერისა თუ საკლასო-სამინაო დავალებების ნაწარები, ამოვიწერეთ ხუთასამდე არასწორად დაწერილი სიტყვა, დავაჯგუფეთ და დავახარისხეთ. შეცდომების წინასწარი ანალიზის საფუძველზე, შევიმუშავეთ სამოქმედო გეგმა:

1. ქართული ანბანის ცოდნის დადგენა მოსწავლეებში;
2. ბგერისა და მისი გრაფიკული ნიშნის თავსებადობის ცოდნა მოსწავლეებში;
3. ქართული ასო-ბგერის შესატყვისობა სომხურთან;
4. სომხურის გავლენა ქართულის წერით და ზეპირმეტყველებაში;
5. ფონოლოგიური სმენადობის როლი შეცდომებში;
6. ფონეტიკური მოვლენების კანონზომიერების დადგენა შეცდომებში;
7. სომხური ენის მასწავლებლის კონსულტაცია;
8. პრობლემის იდენტიფიკაცია;
9. პრობლემის გადაჭრის გზები.

გეგმის შესაბამისად, გამოვიკითხეთ მოსწავლეები, რატომ ვერ წერენ სიტყვების სწორ ფორმებს ქართულად. როგორც მოსალოდნელი იყო, პასუხი იყო გაგვიცეს, მაგრამ ერთ-ერთი მოსწავლის პასუხი იყო მნიშვნელოვანი: „როგორც მესმის, ისე ვწერ“. ჩავატარეთ ექსპერიმენტი: დაფასთან გამოვიძახეთ ის მოსწავლეები, რომლებიც განსაკუთრებით ბევრ შეცდომებს უშვებდნენ წერისას. ვუკარნახეთ თანხმობაში ბგერები, რათა გაგვეჩვენოთ, ხომ არ უკავშირდებოდა აღნიშნული პრობლემა ასოთა წერის უცოდინრობას. მოსწავლეებმა, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ყველა ბგერა სწორად დაწერეს. აქედან ორი დასკვნა გამომდინარეობს: პირველი – ქართულ ასოთა წერის უცოდინრობა მოსწავლეებში არ დგას, მეორე – წარმოთქმის პრობლემა, რადგან წერენ, რადგან ცალკე წარმოთქმული ბგერები უფრო მკვეთრად ისმის, ვიდრე წინადადებაში. იგივე ექსპერიმენტი ჩავატარეთ სიტყვებზე. შევეცადეთ, წარმოთქმა ყოფილიყო ავთენტური. აქ ოდნავ განსხვავებული შედეგი მივიღეთ, ოდნავ მეტად დაუმეცეს შეცდომები. საყურადღებო იყო ერთი ფაქტიც: მოსწავლეს ვუკარნახეთ სიტყვები – თბილისში, პარიზში, სვეტა, ტერეზა... დაწერა – თბილისში, ფარიში, სვეტა, თერეზა. პირველ სიტყვაში გამოტოვა ს ბგერა (თბილისში-თბილისში), მეორეში – ზ (პარიზში-ფარიში), რაც აშკარად ფონოლოგიური სმენის პრობლემაა, რადგან ავთენტურ მეტყველებაში აღნიშნულ სიტყვებში ს და ზ ბგერები არ ისმის, ისევე როგორც სახლში (არ ისმის ლ), ანგარიშში, ბალიშში (ისმის ერთი შ). სამაგიეროდ, როგორი სიხშირითაც არ უნდა წარმოთქვა მატარებელში/მატარებელზე, ქალაქში/ქალაქზე, კარებში/კარებზე, დივანზე/დივანში, სურათში/სურათზე, სოფელში/სოფელზე, სახურავში/სახურავზე, ვენახში/ვენახზე, ქვაბში/ქვაბზე, ცირკში/ცირკზე და ა.შ. მოსწავლეებს შეცდომა არ მოსდით.

შეცდომების ანალიზის საფუძველზე, გამოვკვეთეთ რამდენიმე ზოგადი, არსებითი ხასიათის შეცდომა წერასა და წარმოთქმაში, ესენია: 1. მექანიკური შეცდომები; 2. ორი ერ-

თნაირი ბგერის წარმოთქმის პრობლემა წერასა და წარმოთქმაში (საათი-სათი, იტალიის-იტალის); 3. ოთხი და მეტი თანხმონის წარმოთქმის (ვარსკვლავი, მწვრთნელს) პრობლემები და მათთან დაკავშირებული წერითი შეცდომები; 4. ბგერათა ჩანაცვლებით გამოწვეული შეცდომები წერაში (ყველი-ღველი, პური-ბური); 5. მშობლიურ ენაში არსებული დიფთონგით გამოწვეული შეცდომები წარმოთქმაში (კომპიუტერი-კომპიუტერი, ასტოიან-ასტოიან). ზემოთ აღნიშნულ შეცდომათა გამომწვევი მიზეზები დაფიქსირებული კატეგორია: 1. მექანიკური; 2. წარმოთქმის; 3. სმენითი; 4. მშობლიური ენის გავლენა. მექანიკური შეცდომები, ძირითადად, დაწყებითი კლასების დაბალ საფეხურზე შეინიშნება, მაგ., წერს-შერს, ხედავს-ძედავს, ჰამაკი-პამაკი, ჭრის-ჯრის. ამგვარი შეცდომები ამ ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეებში, როცა ისინი ეუფლებიან ან დაეუფლნენ ქართულ ანბანს, მაგრამ მისი განმტკიცება ჯერ კიდევ არ არის დასრულებული, ბუნებრივი მოვლენაა (იგივე ითქმის ქართულენოვან მოსწავლეებზეც), რადგან ეს ასო-ბგერები ერთმანეთის შეზრუნებული ან მსგავსი ფორმებია, ესენია ჰ-პ, ჭ-ჯ, შ-წ (სხვათა შორის, ჰ-ს ეძახიან სამსართულიანს, ჰ-ს ორსართულიანს, ჭ-ს ბანტიანს, ჯ-ს უბანტოს, თუმცა ჭ-სა და ჯ-ს შემთხვევაში მხოლოდ მექანიკურ შეცდომასთან არ გვაქვს საქმე). ამ ტიპის შეცდომების დაძლევა ანბანის ცოდნის განმტკიცებასთან ერთად მოხდება. ასე რომ, ეს არ არის არსებითი და მთავარი პრობლემა.

შეცდომათა დიდი ნაწილი მოდის სმენადობაზე. კარნახისას ან წერითი სამუშაოს შესრულების დროს, იმ სიტყვის დაწერისას, რომელშიც გ არის, მოსწავლეები ზოგჯერ გვეკითხებიან: ფაფუკ (როლი), მასწავლებლო, კ თუ გ. ამან მაეჭიროებინა, რომ მათ სმენადობაში გ და კ, წარმოთქმაში, ერთმანეთს უახლოვდება და შესაძლებელია, მშობლიური ენის ნორმები მექანიკურად გადმოაქვთ ქართულში. ამიტომ, ამ საკითხის გასარკვევად, დამჭირდა სომხური ენის მასწავლებლის კონსულტაცია. აღმოჩნდა, რომ ქართულიასთან განსხვავებით, სომხურში წერა და წარმოთქმა, რიც ასოთა მიმართებაში, ერთნაირი არაა. მართალია, ძირითადად, ბგერები როგორც ითქმის, ისე იწერება, მაგრამ ყოველთვის ასე არაა. წერა და წარმოთქმა განსხვავებულია მდებარეობაში. აქ მნიშვნელოვან აქვს იმას, თუ რა პოზიცია უკავია სიტყვაში სამეურის მყლერს: სიტყვის შუაშია, ბოლოში, ხმოვნის თუ რ, ნ, ლ თანხმონების შემდეგაა. ამ შემთხვევებში იწერება მყლერი ბგერები, მაგრამ იკითხება, როგორც მათი (სამეურლების) შესაბამისი ფშვინიერი. მაგ., ბ-პ-ფ: იწერება ბ, ითქმის ფ – ერბ-ერფ, დარბინ-დარფინ; გ-ქ-ც: იწერება გ, ითქმის ქ – სარგის-სარქის, ერგ-ერქ, კარაგ-კარაქ; დ-თ-ტ: იწერება დ, ითქმის თ – არდარ-ართარ, ნვარდ-ნვართ, დდუმ-დდუმ; ძ-ც-წ: იწერება ძ, ითქმის ც – ფორძ-ფორც, ბარძ-ბარც; ჯ-ჩ-ჭ: იწერება ჯ, ითქმის ჩ – იჯნელ-იჩნელ. წყვილულის მყლერებიდან კი იწერება ღ და ითქმის აჯჯიკ-ახჩიკ.

ვარაუდობ, შესაძლებელია, მოსწავლეები მშობლიური ენის მართლწერის ნორმებს მექანიკურად იყენებენ, არ გამართლდა, მაგრამ უცნაური რამ გამოიკვეთა: თუ სომხური ენის მართლწერის მიხედვით, რიც შემთხვევებში, იწერება მყლერი და ითქმის მისი შესაბამისი ფშვინიერი ბგერა, ქართულში მოსწავლეები, მართალია, სწორად წარმოთქვამენ, მაგრამ, მყლერის მაგიერ, წერენ მის შესაბამის მკვეთრს ან პირიქით – მკვეთრის მაგიერად, წერენ შესაბამის მყლერს. ასე მაგალითად: ბ-ს მაგიერად წერენ ჰ-ს, ჰ-ს მაგიერად – ბ-ს, წ-ს მაგიერად – ძ-ს და პირიქით (წიგნი-წიკნი, წიგნი-ძიგნი, კომბოსტო-გომბოსტო, ვიძინებ-ვიძინებ) და ა.შ.

ქართულში, როგორც ვიცით, წყვილულებს არ მოეპოვებათ მკვეთრები და ამიტომ, მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში ასეთ შეცდომებს აქვს ადგილი: წყვილულების მყლერ ბგერებს ენაცვლება ცალეულის მკვეთრი, მაგ.: ღ-ს ენაცვლება ცალეულის მკვეთრი ყ ბგერა და პირიქით, მაგ: ტყე-ტლე, ღლი-ყლი. სამაგიეროდ, შეცდომები არ მოსდით ფშვინიერებში, ანუ მყლერებს ან მკვეთრებს არ უნაცვლებენ ფშვინიერებს, მეტც, ამ ტიპის შეცდომები თითქმის ვერ დავაფიქსირეთ.

მშობლიური ენის გავლენა ძლიერია ორივე ენაში ისეთი ერთნაირი სიტყვების წარმოთქმისას, სადაც დომინირებს სომხურის ფ ბგერა (პარიზი-ფარიზი, თებერვალი-ფებერვალი), ან ხდება ბგერათა გადაცვლა (მარვალი-შალვარი), ან ქართულ სიტყვაში ორი ერთნაირი ხმოვანი ბგერა (საათი-სათი), ან კიდევ ქართულში ორი ისეთი ხმოვანი იყრის თავს, რომელიც სომხურის დიფთონგის მსგავსია, მაგ.: ქართულ სიტყვაში იო კომბინაცია სომხურში ისმის, როგორც რუსული ი – გიორგი-გე რგი, იუ – იო (გიუმრი-გიუმრი, იუპიტერი-იუპიტერი), ია – ია (ავაკიანი-ავაკიანი, იასამანი-იასამანი) და სხვ. ასეთი შეცდომები მოსწავლეთა წერასა და წარმოთქმაში მცირეა და, მასწავლებლის ხშირი მითითებით, მათი გამოსწორებაც ადვილია.

მშობლიური ენის გავლენა განსაკუთრებით ყურადსაღებია სიტყვაში ორი ერთნაირი ხმოვანი ბგერის წარმოთქმისას. ეს პრობლემა სომხური ენის ბუნებას უკავშირდება, რადგან სომხურ ლექსიკაში ორი ხმოვანი ერთად ხმარდება არ ან იგივეა დადსტურდება. გამოაკლისად შეიძლება ჩაით-

ვალოს ის კომპოზიტები, რომელთა პირველი ფუძე ხმოვანზე მთავრდება, ხოლო მეორე იმავე ხმოვანზე იწყება, მაგ.: **սանსարսაც** (ამენაარაც).

ამ მოვლენის გავლენით მოსწავლეთა წერით და ზეპირმეტყველებაში ნახავთ ასეთ შეცდომებს: შერჭო, გალის, დაკავშირე, გასწორე, გაფერადე, ვალე, გამზადე, სათი, მეზოვე (შეერჭო, გალის, დაკავშირე, გაასწორე, გააფერადე, გაალე, გაამზადე, საათი, მეეზოვე)... იგივე ითქმის მესამე პირის მეშველზმინიან ფორმათა ხმარებაზეც, როცა მესამე პირის მეშველზმინიან ფორმა ორ ა-ს მოითხოვს, მაგ.: დედა, მამა, მინა. ამ ტიპის სიტყვათა წერისა და წარმოთქმისას მოსწავლეები ხშირად ერთ ა-ს წერენ და წარმოთქვამენ.

ერთად თავმოყრილი ხუთი და მეტი თანხმონი ბგერების წარმოთქმის პრობლემა: მოსწავლეებს უჭირთ ბგერის თანხმონის ერთად წარმოთქმა (მწვრთნელს, ვარსკვლავი, ცეცხლს, მრცხენია...) და ეს პრობლემაც სომხური ენის ბუნებას უკავშირდება. საქმე იმაშია, რომ სომხურში არის ხმოვანი **ll** (ამ ბგერის სადარი ქართულში არ გვაქვს), რომლის ერთ-ერთი ფუნქცია ის, რომ თანხმონათა ერთად თავმოყრის შემთხვევაში, მათ შორის „ჩაჯდეს“ და ამით გაანეიტრალოს წარმოთქმის სიძნელე, მაგ.: მკრტიჩან. აღნიშნული ბგერა თითქოს თანხმონებს შორის ნაპრალს ქმნის, რათა ჰაერის ნაკადი ამ ბგერებს შორის „გამოაძვრინოს“ და ადვილი გახადოს ბგერათა თქმა.

პრობლემის დაძლევის გზა: დავანანევროთ სიტყვა ისე, რომ შედარებით ადვილად წარმოსათქმელმა თანხმონებმა ერთად მოიყარონ თავი (დასაშვებია სიტყვის დამარცხლის ნესების დარღვევა), მაგ.: მწვ-რთნ-ელი, ვარს-კვლა-ვი... გა-ვაგვირებინოთ რამდენჯერმე, შემდეგ კი გავაერთიანებინოთ. შედეგს მივიღებთ.

მოსწავლეებს შეცდომები არ მოსდით **რ, ლ, ნ, მ, ც, ვ, ხ, ქ, ფ, ჰ, ს, ჩ** ბგერათა წერისას (არ ვგულისხმობთ მექანიკურ შეცდომებს). როგორც აღვნიშნეთ, მოსწავლეთა მიერ წერის დროს დაშვებულ შეცდომათა ანალიზისას, გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები ერთმანეთში არ ურევენ მკვეთრ და ფშვინიერ ბგერებს, თუმცა ერთეული შემთხვევები აქაც გვაქვს (ბიჭი-ბიჩი, ბუჩქი-ბუჭქი), რაც სომხურის გავლენაა.

ძნელია იმის თქმა, წერითმეტყველებაში, პროცენტულად, ყველაზე მეტ შეცდომას რომელი ბგერების წერისას უშვებენ მოსწავლეები, რადგან ზეპირმეტყველებაში ყველა ბგერა ერთნაირი სიხშირით არ იხმარება. ცხადია, შეცდომების რაოდენობაც ამის მიხედვით ნაწილდება. მაგრამ მაინც, როგორც ჩანს, ქართულში ყველაზე ხშირად **ბ, ჰ, გ, კ, დ, ტ** ბგერებს ვამბობთ, ამიტომ შეცდომებიც თვალში საცემი უფრო ამ ბგერების წერისას არის. შეცდომების დაძლევის მრავალი აპრობირებული გზა არსებობს, მაგრამ შედეგი მასწავლებლის შემოქმედებით უნარზეა ბევრად დამოკიდებული. როგორც დავინახეთ, შეცდომების უდიდესი ნაწილი სმენადობაზე მოდის, ამიტომ კარგი იქნება, თუ მოსწავლეების მეტყველებას ჩავინერთ და მერე საკუთარ მეტყველებას მოვასმენინებთ. ამით მათ დავარწმუნებთ, რომ მეტყველებისას ყურადღება მიაქციონ წარმოთქმას. მოსწავლეებს წარმოთქმის პრობლემა რომ დავაძლევინოთ, აუცილებელია, ყური გავუმახვილოთ ქართულ ჟღერადობაზე, ამისათვის კი საკმარისი არ არის ფონოლოგიური ვარჯიში. მოვასმენინოთ სხვადასხვა ავთენტური ტექსტები, ვავარჯიშოთ კითხვის ტექნიკის დახვეწაში, ვამსჯელოთ ტექსტის ირგვლივ, რათა ავამეტყველოთ. მნიშვნელოვანია მასწავლებლის მითითება, მაგრამ მითითება უნდა იყოს ისეთი, რომ მოსწავლემ გაიაზროს შეცდომის არის, რათა დაძლიოს იგი. დაბოლოს, ავთენტური მეტყველების საუკეთესო მოდელი არა-ქართულენოვანი მოსწავლისათვის თავად შესასწავლი ენის მატარებელი მასწავლებელია, რაც თავად მოსწავლეებსაც ალუნიშნავთ: „ჩვენ გიყურებთ, მასწავლებლო, როგორ ლაპარაკობთ, რომ ჩვენც ისე ვილაპარაკოთ“.

ამრიგად, სომხურენოვან მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების ანალიზისა და მათ/მოსწავლეთა ზეპირმეტყველებაზე დაკვირვების საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ: შეცდომები როგორც წერით, ისე ზეპირმეტყველებაში განპირობებულია სამი მიზეზით: **მექანიკური** (ჯოხი-ჭოხი), **სმენითი** – როცა ქართულ ავთენტურ მეტყველებაში მკვეთრად არ ისმის ზოგიერთი ბგერა (კარგად-კარგათ, თბილისში-თბილისში, მყლერების ჩანაცვლება მკვეთრებით და პირუკუ – წიგნი-ძიგნი, ძალიან-წალიან); **მშობლიური ენის გავლენით** (პარიზი-ფარიზი, საათი-სათი). პრობლემის გადაჭრის გზა საკითხისადმი მასწავლებლის შემოქმედებით და პროფესიულ მიდგომაშია.

ზამირა კობიაშვილი
ნალკის მუნიციპალიტეტის სოფ. ოზნის საჯარო სკოლის ქართული ენის კონსულტანტ-მასწავლებელი

P.S. სომხური ენის მართლწერის საკითხებში განეული კონსულტაციისთვის მადლობას ვუხდით სოფ. ოზნის საჯარო სკოლის სომხური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს **ლუსინე მანუქიანს**.

სასკოლო აქტივობა

იბ დღეს...

სასიამოვნოდ შეფიქრებულები ჩაცხებდით მანქანაში. ბავშვები ხელში მოსწავლეთა 70-ე თვითშემოქმედებითი კონფერენციის ხელოვნებათმცოდნეობის სექციაში გამარჯვებული ნაშრომის ასლი ეჭირათ, კითხულობდნენ, აანალიზებდნენ.



ლილი თავაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, აკაკი წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი

– ნეტავ, რას შეგვეკითხებიან, ლევან? ეს დიანაა.

ლევანმა მასთან ერთად იმუშავა, შექმნა ტექსტი, ესაუბრა თემის ძირითად პერსონაჟს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, აკაკი წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობს, ქალბატონ ლილი თავაძეს. დიანამ კი მსახიობის საარქივო მასალები შეკრიბა, ფოტოები ტექნიკურად დაამუშავა და მართლაც მშვენიერი თემა გამოუვიდათ, სათაურით – „თოვლით“ ნაძერწი როლები.

შემდეგ კი საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში გავემგზავრეთ თემის დაცვაზე. მინტერესებდა, როგორ წარდგებოდნენ ისინი მსმენელის წინაშე. ნანახმა და მოსმენილმა მოლოდინს გადააჭარბა. იმდენად ორგანიზებული, მონესრიგებული, დეტალურად ნიუანსგათვლილი იყო ყველაფერი, რომ აღტაცებული დავრჩით. თვითშემოქმედებითი კონფერენციაში გამარჯვებული საქართველოს ყველა მოსწავლე „ლანჩზეც“ კი მიიწვიეს.

სსიპ ქალაქ ჭიათურის სკოლის XI კლასის მოსწავლეები – ლევან სამხარაძე და დიანა ბინაძე – ღირსეულად წარდგნენ კომისიის წინაშე, რომელსაც ქალბატონი ზორა ეგუტი (გაბელია) ხელმძღვანელობდა. ისეთი შეგრძნება დაგვეუფლა, რომ აქ, ამ მშვენიერ გარემოში, ასეთ ხალხთან მისვლა ღირებულად, მრავლისმომცემი და მეტად საპასუხისმგებლოა.

იმ დღეს ძალიან ბევრი თემის ავტორს მოუსმინეს. შეხვედრამ ბრწყინვალედ ჩაიარა. მოსწავლეებს პირველი ხარისხის დიპლომები, ფასიანი საჩუქრები და „X ფაქტორის“ ბილეთები გადასცეს. როცა მსახიობებზე საუბრობდნენ, დიდი სიყვარულითა და პატივისცემით გაიხსენეს ჭიათურის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი

მიური თეატრის მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი გრიგოლ (გრიშა) ტყაბლაძე.

უპრეცედენტო შემთხვევად მიმაჩნია, რომ სექციის მუშაობის დამთავრების შემდეგ, დიანა და ლევანი იმ სამკაცთან ჯგუფში დაიტოვეს, რომელიც, საქართველოს მასშტაბით, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, ამ თემის გამო, თავადაც დააჯილდოვა პირველი ხარისხის დიპლომებით, ფასიანი საჩუქრებით, დაესწრნენ კონცერტს.

უამრავ შეხვედრაზე ვყოფილვართ, ბევრჯერ მიგვიღია სიგელები და ჯილდოები, მაგრამ ასეთი სოლიდური და ღრმაშინაარსიანი ღონისძიება იშვიათად გვინახავს.

ულრმეს მადლობას მოვასხენებთ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს; საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის დირექტორს, ქალბატონ ქეთევან ფიქრიშვილს.

ვილს; კონფერენციების ხელმძღვანელს, ქალბატონ ნათელა ჩხეიძეს; ხელოვნებათმცოდნეობის სექციის ხელმძღვანელს, ქალბატონ ზორა ეგუტს და, ზოგადად, საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეს მოსწავლეთა 70-ე თვითშემოქმედებითი კონფერენციის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის.

აქვე მინდა აღვნიშნო, ჭიათურის საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და ჭიათურის №2 საჯარო სკოლის დირექტორის, ქალბატონ ცირა ბრეგვაძის თანადგომისა და მხარდაჭერის შესახებაც, რამაც, გარკვეულწილად, განაპირობა კიდევ კონფერენციაში ჩვენი წარმატებული მონაწილეობა.

შუშუნა ბურჯანაძე
სსიპ ჭიათურის №2 საჯარო სკოლის სახელმწიფო ენის მასწავლებელი



ქართული როგორც მეორე ენა

ჯავახურად მოტივირებული

2014 წლის ჟურნალ „მასწავლებლის“ ერთ-ერთ ნომერში, ნავიკითხე სტატია „ყველაფერი მასწავლებლის სასიკეთოდ გაკეთდება“. თავიდან არ მეჯერა, რადგან წლების განმავლობაში ჩვენთვის, რეგიონის ადგილობრივი მასწავლებლებისთვის, მიუწვდომელი იყო ის სიახლეები და სიკეთეები, რაზედაც მხოლოდ სტატიებში იწერებოდა. სტატია ბოლომდე ჩავიკითხე, თანაც გულდასამით, იქ ამოვიკითხე: „მნიშვნელოვანი რეფორმები“, „პროფესიული განვითარება და კარიერული ზრდის ახალი სქემა“, „სათანადო დაფასება“, „მატერიალური ნახალისება“, „მასწავლებლის სახლი მუდამ ღია იქნება მასწავლებლებისთვის“ და ასე შემდეგ. გავიფიქრე: შეიძლება კიდევ ასე იყოს?!

ამავე წელს ავკრიფე naec.ge, „მასწავლებელთა რეგისტრაცია საგნობრივი გამოცდებისთვის“ და პირველივე ცდა წარმატებული გამოდგა. 2015 წელს გადავწყვიტე მონაწილეობა მიმელო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“. ვალიარებ, არ მეჯეროდა, განიხილავდნენ თუ არა ჩემს რეზიუმეს, მაგრამ აქაც ნდობამ გაამართლა.

დავიბადე, გავიზარდე, ვცხოვრობ ჯავახეთში. ჩემი 20-წლიანი სამუშაო პრაქტიკა უკავშირდება სპეციფიკურად განსხვავებულ სამუშაო ადგილებს, მათ შორის სკოლებსაც.

2015 წელი სრულიად განსხვავებული გამოდგა ჩემთვის. აღნიშნული პროგრამის დეტალების გასარკვევად ვესტუმრე „მასწავ-

ლებლის სახლს“. პროგრამის ხელმძღვანელთან პირველი შეხვედრა იმდენად უმუშაო და საინტერესო გამოდგა, შინაგანად მომესურვა ასეთ ადამიანებთან საქმიანობისა და ურთიერთობების გაგრძელება. პირველად მქონდა ხელმძღვანელ პირთან ისეთი საუბრის საშუალება, სადაც ამომწურავი პასუხები მივიღე. მივხვდი, რატომ ერქვა ამ შენობას „მასწავლებლის სახლი“.

გამიმართლა, დღეს ვარ მონაწილე პროგრამისა „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“. ვმუშაობ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კიროვაკანის საჯარო სკოლაში კონსულტანტ-მასწავლებლად.

ვეცნობი და ვსწავლობ სიახლეებს განათლების მიმართულებით, ვესწრებ შეხვედრებს იქ, სადაც გველიან, სადაც ვგრძნობთ თანადგომას, სადაც გველოდება ტრენერების ღიმილიანი სახეები და პროფესიული სიახლეები, სადაც გვიმართლებენ მოლოდინებს. ჩვენი მასწავლებლები ზრუნავენ ჩვენი გუნდის პროფესიულ განვითარებაზე, არ იშურებენ ენერჯის, დიდი ენთუზიაზმითა და მარტივი მიდგომებით გადმოგვცემენ თავიანთ გამოცდილებას. ამ დროს მახსენდება ერთი ბრძენი ადამიანის ნათქვამი: „ბრძენ კაცს ისე თავმდაბლურად უჭირავს თავი, თითქოს თვითონ კი არ ასწავლიდეს სხვას, არამედ სხვისგან სწავლობდეს“.

პროგრამის თანამშრომლებს, კოლეგების თბილი დამოკიდებულება მისამაგებს სურვილს, ხშირად ვესტუმრო ამ თბილ გარემოს. ის თანადგომა, ნაყოფიერი შეხვედრები და სიტობა, რაც იქ მხვდება, მომყვება

ჯავახეთის იმ პატარა სკოლაში, სადაც ვცდილობ, არ დავიზარო და წვლილი შევიტანო იმ საქმეში, რასაც „სახელმწიფო ენის სწავლება“ ჰქვია. ვცდილობ, შევასწავლო ენითობად სომეხი ეროვნების მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ქართული ენა ისეთივე ხალისით, ისეთივე სითბოთი და სიკეთით, როგორც მომყვება თბილისიდან ახალქალაქამდე.

ჩემში აღმოვაჩინე ახალი ადამიანი ახალი იდეებით, რაც იმ პროფესიონალი და საინტერესო ადამიანების დამსახურებაა, რომლებიც ხელს გვინყოფენ წარმატებით განვახორციელოთ პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ არაქართულენოვან სკოლებში.

მე-9 კლასის მოსწავლეებმა შემიფასეს გაკვეთილი: „ძალიან საინტერესოა, რა მალე გადის ქართულის გაკვეთილი?“. ჩვენ ქართულად ვლაპარაკობთ, შეძლებისდაგვარად. ეს ჩემთვის ჭკუმაღრიტი სიხარულია. მე ჯავახი ქართველი ვარ. სულ სხვა გრძნობაა, როდესაც შენს მშობლიურ კუთხეში ასეთ მშობლიურ საქმეში ხარ ჩართული. ეს პირდაპირი მოტივაციაა, მე ამას „ჯავახურ მოტივაციას“ ვეძახი.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ხელს უწყობს ყველა იმ პროექტის ინიცირებას, რომელიც მასწავლებელს სჭირდება. მე ეს დავინახე, მიზანი საშუალებებს ამართლებს.

ქართული ენის სწავლება არაქართულენოვან სკოლებში, თემში მარტივი საქმე არ არის, თან ახლავს პრობლემები და გამოწვე-

ვები. იმ ეროვნების ხალხში, რომელთაც საკუთარი ენა და კულტურა აქვთ, სახელმწიფო ენისადმი ინტერესის ამაღლება დიდ შრომას მოითხოვს. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში ხედავენ ამ აუცილებლობას და გვიმალბებენ მონდომებას, რათა შევძლოთ ენის სწავლება ფუნქციური მიზნისთვის.

ჩვენს წარმატებას განაპირობებს ჩვენი ინტელექტი, საგნის ცოდნა, კომუნიკაცია კოლეგებთან, მოსწავლეებთან, თემთან, ასევე, ცენტრის მიზნობრივი მხარდაჭერა და პიროვნული მასხაიათებლები. თუ იჭარბებს პოზიტივი ჩვენს სამუშაო ჯგუფებში, ჩვენი შემსწავლელი უფრო ხარისხიანად და სწრაფად დაეუფლებიან ენას, რაც მათ გაუადვილებთ ინტეგრაციას ყველა საკითხსა თუ სფეროში.

ჩემს სკოლაში კოლეგები აცნობიერებენ, რომ მათი ყველა წარმატება აღიარებული იქნება, თუ, რა თქმა უნდა, თვითონაც იზრუნებენ ამაზე. გააცნობიერეს, რომ მასწავლებლის პროფესიული დონის ამაღლება სახელმწიფოს პრიორიტეტია. ყველა ჩაერთო სქემაში. მართალია, გაუჭირდათ თვითშეფასების კითხვარის დამოუკიდებლად შევსება, მაგრამ ნათლად დაინახეს სახელმწიფო ენის სწავლების საჭიროება და აუცილებლობა. ესეც წინგადადგმული ნაბიჯია. ისინი უკვე გამოხატავენ ქართული ენის დაუფლების სურვილს. მიზანი გამართლებულია, შედეგს ერთად მივალწევთ. იმედი მაქვს, შევძლებთ ერთად მოსმენას, წერას, კითხვას და ლაპარაკს ქართულად, იმ ენაზე, რომელიც ერთ-ერთი უმდიდრესი ენაა მსოფლიოში. ქართული ენა ხომ იმ ხალხის მშობლიური ენაა, რომელთა ტოლერანტობაც უსაზღვროა.

მადლობას ვუხდით ცენტრის ხელმძღვანელობას, თითოეულ იმ ადამიანს, ვინც აძლიერებს სხვადასხვა პროგრამებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით, ვინც ზრუნავს ჩვენს პოზიტიურ განწყობაზე, ჩვენს მენეჯმენტზე, ჩვენს პროფესიონალიზმზე, ჩვენს მოტივაციაზე და ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ჩ ვ ე ნ ზ ე - პ ე დ ა გ ო გ ე ბ ე ე. მეჯერა, ყველაფერი მასწავლებლის სასიკეთოდ გაკეთდება!



კონკურსი

მობზაურობა სოღნის სამყაროში

ზრდასრულ ასაკში უფროსკლასელები ვინცებთ ფიქრს ჩვენს მომავალზე, პროფესიაზე... ვცდილობთ, ჩვენი ცოდნიდან გამოვდინარე, ავირჩიოთ სასურველი უნივერსიტეტი. მე ეს არ გამჭირვებია, რადგან ივ. ჯავახიშვილის შემოქმედების გაცნობის შემდეგ, გადაწყვიტე ამერიკის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ადგილი, სადაც შემოძლია მივიღო ხარისხიანი განათლება.

ერთ მშვენიერ დღეს, ჩვენი კლასის დამრიგებელმა, ისტორიის პედაგოგმა **ლეილა ამინაშვილმა** (მარაბდის საჯარო სკოლა, დირექტორი - ქალბატონი **თამარიკო ფიჩხულაშვილი**) მირჩია, მონაწილეობა მიმეღო თსუ საბავშვო უნივერსიტეტის ესეების კონკურსში - „ივ. ჯავახიშვილი - პირველი ქართული

უნივერსიტეტის დამაარსებელი“. სიხარულით დავთანხმდი, აქტიურად დავინყე სასურველი წყაროების ძიება და მოტივირებული შევუდექი სამუშაოს. კონკურსიცაა დიდი იყო, ამიტომ ძალ-ღონეს არ ვიშურებდი, რომ წარმატებისთვის მიმეღწია.

გათენდა ჩემთვის ყველაზე საუკეთესო დღე, შრომა დამიფასდა და საუკეთესოებში მოვხვდი. სერტიფიკატის გადასაცემად, მე და ჩემს ხელმძღვანელს, თსუ-ში გვიწვედნენ. დანიშნულ დღეს გამოვცხადდით უნივერსიტეტში. ეზოში შესვლისას ჟრუანტელმა დამიარა. კიბეებზე, ბაღში, მისაღებში - ყველგან სტუდენტები იყვნენ წიგნებით ხელში და გაფაციცებით კითხულობდნენ. ვერც კი წარმოიდგინებ, როგორ მინდოდა, მეც

ერთ-ერთი მათგანი ვყოფილიყავი და ჩემი სული ფერად-ფერადი ძაფებით დამეკავშირებინა იმ უნივერსიტეტთან, რომლის სტუდენტობაც საკმაოდ საამაყო და საპასუხისმგებლოა.

ყველანი შევიკრიბეთ აუდიტორიაში და დაიწყო ლექცია. ღმერთო ჩემო, ეს იყო ჩემი პირველი ლექცია, ჩემი პირველი ნაბიჯი ახალ სამყაროში და პირველი შეხვედრა თსუ-ს პროფესორ-მასწავლებლებთან. ვუსმენდი მათ და თან მესმოდა ჩემი გულის ცემა. მიუხედავად იმისა, რომ გული ამოვარდნაზე მქონდა, სახე მაინც მიღიმოდა, თვლები მიელავდა, ჩემი გამომეტყველება ბედნიერებას ასხივებდა, რომელსაც განვიცდიდი და ვგრძნობდი იქ მყოფი ადამიანებისადმი და იმ



ცოდნის ტაძრისადმი, რომელსაც თსუ ჰქვია. ბედნიერი ვიყავი, ჩემთვის ბედნიერება ხომ ოცნებების ასრულებაა. იმ დღეს მე ოცნება ამისრულდა - თსუ-ს საბავშვო უნივერსიტეტის რექტორმა, ქალბატონმა **მარინა ლომოურმა** საზეიმოდ გადმოგვცა, მე და ჩემს ხელმძღვანელს, სერტიფიკატები.

უნივერსიტეტს ასეთი სიტყვებით დავემშვიდობე: „მე მალე მოვალ შენს სულიერ კულტურასთან დასაწაფებლად და ხელი არ მკრა, გთხოვ..!“

ეს დღე სამუდამოდ დარჩება ჩემს მეხსიერებაში.

თინათინ ჯაფანიძე

სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. მარაბდის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე, ხელმძღვანელი - **ლეილა ამინაშვილი**



ქართული სიმღერის ჰანგები

20 მაისს მესტიის სეტიის მოედანზე, დასრულდა მუსიკალური კონკურსი „ქართული სიმღერის ჰანგები“, რომელიც სამი ტურისგან შედგებოდა. იდუის ავტორი სკოლის მუსიკის პედაგოგი **იზა ჩაკვეტაძე** იყო, რომელიც მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშის საჯარო სკოლაში პროექტიდან „ასწავლე საქართველოსთვის“ მოინიჭეს.

კონკურსის მიზანი იყო: მომავალ თაობებში ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბება და დახვეწა; მათი დაინტერესება და თანაზიარობა ქართულ საესტრადო ხელოვნებასთან; პროფესიული ვოკალური განათლების მიღებისა და ადგილობრივ თუ რესპუბლიკურ კონკურსებში მონაწილეობის შესაძლებლობის მიცემა. პროექტის ფინანსური მხარდაჭერი იყო მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

ხაიშის სკოლაში მუშაობის განმავლობაში, იზა ჩაკვეტაძემ ბავშვები, არა მარტო ხაიშელები, ნამდვილად სხვა რაკურსით წარმოაჩინა და ფოლკლორის ფანრში გამოცდილი პატარა მომღერლები კლასიკურ მუსიკას აზიარა, რითაც მოტივაცია შეუქმნა თავი სხვა ფანრშიც გამოეცადათ.

კონკურსში მუნიციპალიტეტის 9 საჯარო სკოლის 22 მოსწავლე მონაწილეობდა. კომპეტენტურმა ჟიურმა გამოავლინა გამარჯ-

ვებულები: პირველი ადგილი - **მარი გომთელიანი** (ხაიშის საჯარო სკოლა), მეორე ადგილი - **დიანა საბანიძე** (ხაიში) და მესამე ადგილი - **გიორგი ნიგურაიანი** (მესტიის N2 საჯარო სკოლა, პედაგოგი - **ცისანა უდესიანი**). მათ ფასიანი საჩუქრები გადაეცათ. პროექტის ავტორის სიმპატია გახდა ეცერის საჯარო სკოლის მოსწავლე **მარიამ გურჩიანი**, რომელმაც პედაგოგის გარეშე შეძლო სამივე ტურის დაძლევა. მას ქალბატონმა იზამ საჩუქარი გაუკეთა - ათი მინუს ფონოგრამა თავისი სიმღერებით, რომელიც ჩანერილია მაღალტექნოლოგიურ სტუდიურ ფორმატში. კონკურსის ყველა მონაწილეს გადაეცა საჩუქრები.

ხაიშელმა მოსწავლეებმა არა მარტო რაიონში, რაიონს გარეთაც გაითქვეს სახელი. 17 აპრილს, თბილისში, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის დარბაზში გამართულ, გენიალური ქართველი კომპოზიტორის გიორგი ცაბაძის ყოველწლიური, ტრადიციული, ქართული სიმღერის კონკურსზე „ჩემი საქართველო აქ არის“ პირველად წარდგა მესტიის რაიონი, კერძოდ ხაიშის საჯარო სკოლის მოსწავლეები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩვენმა ბავშვებმა, სხვადასხვა კატეგორიაში, პირველ-მეორე ადგილები დაიკავეს.



მეორე ასაკობრივ კატეგორიაში პირველი ადგილის მფლობელი გახდა მეექვსეკლასელი მარიამ გომთელიანი, ხოლო მესამე ასაკობრივ კატეგორიაში პირველი ადგილი ხვდა წილად მეთექვსეკლასელი დიანა საბანიძეს. მარიამი და დიანა, მაისის ბოლოს, ქუთაისის

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, გალა კონცერტზე იმღერებენ. ასევე მნიშვნელოვანია მეექვსეკლასელი **ილია გელოვანის** წარმატება... ილიანელმა **ილია ჭკადუამ**, რომლის პედაგოგიც იზა ჩაკვეტაძე გახლავთ, პირველ კატეგორიაში, მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა.

იზა მასწავლებელი თანაავტორია საქველმოქმედო კონცერტების მართონისა - „ნუ მივატოვებთ ერთმანეთს!“, რომელმაც მუნიციპალიტეტში შემავალი სხვადასხვა სკოლების რამდენიმე მოზარდი იმედითა და მაღლით აავსო.

მსგავს ღონისძიებებსა და კონკურსში მონაწილეობა სვანეთისთვის პირველია და, შეიძლება ითქვას, რომ იზა ჩაკვეტაძე ამ საქმეში პიონერია!

ორიოდე კვირაც და, სამწუხაროდ, ეს ნიჭიერი, აქტიური, დაუღალავი, დაუზარელი პედაგოგი სვანეთს დატოვებს. წავა, მაგრამ მაღლიერი მოსწავლეები მის ამაგს ღირსეულად დააფასებენ. მოსწავლის სიყვარული კი ყველა განძზე ძვირფასია მასწავლებლისთვის, ყველა წამალზე მეტი საკურნებელია.

ლალი მარგინი



სპორტი

სასკოლო ოლიმპიადა - ახალ ფაზაში

საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში გრძელდება სასკოლო სპორტული ოლიმპიადის შესარჩევი ტურები სპორტის რამდენიმე სახეობაში. ეს მასობრივი კომპლექსური ღონისძიება, რომელსაც ბავშვთა და მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტის ეროვნული ფედერაცია ატარებს და სპორტის 9 სახეობაში იმართება, უკვე შემდგომ ეტაპზე გადავიდა - ზოგიერთ სახეობაში ჯერ ისევ გრძელდება რეგიონული პირველობები, მაგრამ ზოგან უკვე ზონალურ შეჯიბრებებს ატარებენ.

ასეა, მაგალითად, ფრენბურთში, სადაც უკვე გაიმართა დასავლეთ საქართველოს ზონალური პირველობა. ამ შეჯიბრებას ქუთაისის 25-ე საჯარო სკოლის დარბაზმა უმასპინძლა. ვაჟებში იმერეთს წყალტუბოს ზონის სოფელ მადლაკის საჯარო სკოლის გუნდი წარმოადგენდა, სამეგრელო-ზემო სვანეთს - მესტიის სოფელ ჭუბერის, გურიას - ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათის, რაჭა-ლეჩხუმ/ქვემო სვანეთს - ცაგერის რაიონის სოფელ ქვედა ცაგერის, აჭარას - ქობულეთის სოფელ გორგაძეების, აფხაზეთს კი - ჩხორიწყის მე-10 საჯარო სკოლა. ფინალში

ასპარეზობის უფლება მესტიელმა და წყალტუბოელმა ფრენბურთელებმა მოიპოვეს. საბოლოო გამარჯვება იმერლებს დარჩათ: მაღლაკელებმა ჭუბერის გუნდს 2:1 (15:17; 16:13; 15:4) მოუგეს და დასავლეთ საქართველოს ჩემპიონები გახდნენ.

წყალტუბოელთა გამარჯვებით დასრულდა გოგონების ტურნირიც და საინტერესოა, რომ ფინალში მათაც მესტიელებს მოუგეს 2:0 (16:12; 16:10). იმერეთს, ამჯერად, წყალტუბოს მე-4 საჯარო სკოლა წარმოადგენდა, ხოლო ზემო სვანეთს - მესტიის სოფელ ნასკრას სკოლა.

ხელბურთშიც დამთავრდა ზონალური პირველობები, თუმცა მას წინ თბილისის ჩემპიონატი უძლოდა, რომელშიც დედაქალაქის კერძო და საჯარო სკოლები მონაწილეობდნენ. ეს იყო აღმოსავლეთის ზონის რეგიონული პირველობა, რომელშიც ვაჟებში 161-ე საჯარო სკოლის, გოგონებში კი 175-ე საჯარო სკოლის გუნდებმა გამარჯვეს. მათვე მიიღეს მონაწილეობა აღმოსავლეთის ზონალურ პირველობაში, რომელსაც ისევ თბილისმა უმასპინძლა.



თბილისის 161-ე საჯარო სკოლის გუნდი



ამ შეჯიბრებაში, გოგონებშიც და ვაჟებშიც, 4-4 გუნდი გამოდიოდა. გოგონებში, თბილისის 175-ე სკოლის გარდა, რუსთავის მე-15, თელავის მე-3 საჯარო და გორის გიორგი მთაწმინდელის სკოლებიც გამოდიოდნენ. ფინალში თბილისელი და თელაველი ხელბურთელები გავიდნენ, შეხვედრა კი თბილისელებმა 9:1 მოიგეს. დედაქალაქელთა გამარჯვებით დამთავრდა ვაჟთა შეჯიბრებაც, სადაც თბილისის ზემოაღმოსავლეთი სკოლა, თელავის მე-4, გორის მე-3 და რუსთავის ლაზარეს სახელობის სკოლები მონაწილეობდნენ. ამ ფინალში ასპარეზობის უფლება თბილისმა და რუსთავმა მოიპოვეს, შეხვედრა კი 161-ე სკოლამ მეტი აღმავლობით ჩაატარა - 18:8 მოიგო. გამარჯვებული გუნდები მედლებითა და სიგელებით დააჯილდოვეს. მათვე მოიპოვეს 27 მაისს, დასკვნით თამაშში, მონაწილეობის უფლება, სადაც დასავლეთ საქართველოს ზონალური შეჯიბრების გამარჯვებულებს შეხვდებიან.

ზადმინტონშიც გამოვლინდნენ აღმოსავლეთ საქართველოს ზონალური ტურნირის გამარჯვებულები. ზონის ფინალურ შეჯიბრებაში გოგონებში თბილისის 147-ე, ახალციხის პირველი და თელავის მე-4, ხოლო ვაჟებში - თბილისის 98-ე, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ წითელბუნის და თელავის მე-5 საჯარო სკოლები მონაწილეობდნენ. ფინალში, ორივეგან, თბილისისა და თელავის გუნდები გავიდნენ. გოგონებში გამარჯვება კახელებს დარჩათ, რომლებმაც მეტოქეს 3:0 სძლიეს, ბიჭებში კი ჩემპიონობა თბილისელებმა ირგუნეს - 2:1 მათ სასარგებლოდ.

სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფარგლებში, 21 მაისს, კუს ტბაზე, ჩატარდა თბილისის პირველობა მძლეოსნურ გეზრბენში, რომელსაც ორგანიზატორებმა - ბავშვთა და მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტის ეროვნულმა ფედერაციამ მეტი დატვირთვა მისცა - შეჯიბრება ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას მიუძღვნა. მისი დევიზი იყო „არა ძალადობას“, გარბენი კი სწორედ ძალადობის მსხვერპლი მოზარდის - ბეგი (ბეგლარ) მამაღაძის სსოვნას მიეძღვნა. გარბენის დამწყებამდე მის მონაწილეებს ბეგის დედამ მიმართა სიტყვით, მისიურებიც დაურიგა ბეგი მამაღაძის გამოსახულებით და მოწოდებით „არა ძალადობას“.

ტურნირში თბილისის კერძო და საჯარო სკოლები გამოდიოდნენ, ასპარეზობა გოგონებსა და ბიჭებში ცალ-ცალკე ჩატარდა, თუმცა გამარჯვებული ორივეგან ერთი და იგივე სკოლა გახდა - 120-ე. აღსანიშნავია, რომ ეს სკოლა შარშანდელი გამარჯვებულიც არის. შეჯიბრებას ელსრებოდა სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი მძლეოსნობაში მაია აზარაშვილი.

კვლავ „შევარდენის“ გამარჯვება

ავთანდილ ჭრიკიშვილის სახელობის ქაბუკთა საკლუბო ჩემპიონატის „ოქროს ლიგის“ გათამაშება ძიუდოში, რომელშიც ამჯერად 2000-2001 წლებში დაბადებული მოზარდები მონაწილეობდნენ, კვლავ „შევარდენის“ გამარჯვებით დამთავრდა. შეჯიბრების ფინალი ნაცნობი გამოდგა - „შევარდენმა“ გადაწყვეტ შეხვედრაში ისევ თბილისის „ლიდერი“ დაამარცხა. ეს ტურნირი უკვე მეოთხედ ჩატარდა, ოთხივე ფინალში ეს გუნდები გავიდნენ და ოთხივე შემთხვევაში „შევარდენმა“ (მწვრთნელი - გურამ მოდებაძე) იმარჯვა. თუმცა, წლებგანდელი ფინალი მაინც გამორჩეული გამოდგა დაძაბული, დრამატული და ლამაზი პაექრობით, სადაც „ლიდერმა“ (მწვრთნელი - ალექსანდრე მამუკიშვილი) 0:2 ამოქაჩა, გამარჯვებულის ბედი კი ბოლო შეხვედრაში გადაწყდა.

ბრინჯაოს მედლები თბილისის „მებრძოლმა“ და გორის „ვიპ ძიუდო“ მოიპოვეს.

ტურნირის საპროზო ფონდი 210 000 ლარს შეადგენდა, საიდანაც თავისი წილი ფინალური ტურნირის უკლებლივ ყველა - რვავე მონაწილემ მიიღო. ჩემპიონს 50 000 ლარი გადაეცა, ვიცე-ჩემპიონს - 40 000, მესამე ადგილზე გასულელებმა თითო 30 000 ლარი მიიღო, 20 000-20 000-ით დაჯილდოვდნენ მეხუთეზე გასულელები, მეშვიდეზე დარჩენილებს კი 10 000-10 000 ერგოთ.

ქაბუკთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი მარტში გაიმართა, რომელშიც 39 კლუბი მონაწილეობდა. 8 საუკეთესომ ფინალურ ეტაპზე მონაწილეობის უფლება მოიპოვა, მათგან სამი თბილისური კლუბი იყო: „შევარდენი-2005“, „ლიდერი“ და „მებრძოლი-2015“. გორს ორი წარმომადგენელი ჰყავდა - „ვიპ-ძიუდო“ და „ლომჭაბუკი“; ქარელი, დუშეთი და გურჯაანი კი თითო მონაწილეთ იყვნენ წარმოდგენილი - შესაბამისად, „დურმიშხანი“, „არაგველები“ და „გლადიატორი“.

საკლუბო სისტემა ახალი ხილია ქართულ სპორტში, ძიუდო კი - სპორტის პირველი სახეობა, რომელმაც მისი განვითარება დაიწყო. მართალია, ჯერ ეს ძირითადად საბიუჯეტო თანხებით ხდება, თუმცა პირველი ნაბიჯების დასაფინანსებლად ესეც კარგი საქმეა. საკლუბო სისტემა უკვე დიდებშიც დამკვიდრდა, რაც სპორტსმენთა სოციალურ მდგომარეობას მკვეთრად აუმჯობესებს, განსაკუთრებით - არადაარბიო და მოზარდი ფეხბურთელებისა, რომლებიც ან სულ დაარბიან, ან, ლიდერებთან შედარებით, მიზერულ ხელფასს იღებენ. არადა, დასავლეთში

სწორედ საკლუბო და მუნიციპალურ დაფინანსებაზე მოდის წარმატებულ სპორტსმენთა ხელფასების ლომის წილი.

ბანიკოვის თასი საქართველოში

საქართველოს 16-წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებმა „ვიქტორ ბანიკოვის თასი“ მოიპოვა. ფინალურ პაექრობაში მათ, პენალტების სერიაში, ისრაელი დაამარცხეს - 4:2.

ჩვენმა ფეხბურთელებმა უკრაინაში გამართული ეს ტურნირი წარმატებით ჩაატარეს. პირველ შეხვედრაში ჩეხებს დაუზავდნენ უგოლო ფრზე, მეორე კი, ჯერ ლატვიას მოუგეს 1:0, ხოლო ნახევარფინალში მოლოდინს დიდი ანგარიშით აჯობეს - 4:0.

ფინალური პაექრობის ძირითადი დრო 2:2 დასრულდა. ჩვენები თავიდანვე დანიშნულდნენ თეიმურაზ გაბუნისა გოლით, თუმცა მეტოქემ ჯერ ანგარიში გაათანაბრა, ცოტა ხანში კი კიდევ დანიშნულდა. გურამ ასპინძელაშვილის შეგირდებმა, საბოლოოდ, შეძლეს ანგარიშის გაათანაბრება - გოლი ანზორ მექვაბიშვილმა გაიტანა. 69-ე წუთიდან ებრაელები კაცნაკლულნი დარჩნენ, თუმცა ყრუ დაცვაში ჩადგნენ და ჩვენები ვერაფერს გახდნენ. სამაგიეროდ, პენალტების სერიაში ივარგეს.

შეგახსენებთ, რომ ამ ტურნირამდე ჩვენებმა წარუმატებლად იასპარეზეს ბულგარეთში გამართულ „უეფას განვითარების თასზე“, სადაც ყველა შეხვედრა წააგეს, თუმცა, მაშინ ახალდანიშნული ასპინძელაშვილი, რომელმაც პირველად ნახა გუნდი საქმეში და მასთან სამუშაოდ დრო არ ჰქონდა, ამბობდა, რომ ამ თაობას ბევრის მიღწევა შეეძლო.

წარმატება ოქროს ბარეში

პოლონეთის ქალაქ ბიელსკო ბილაში დამთავრდა „ევროპის თასი“ ქაბუკ ძიუდოსითა შორის, რომელშიც საქართველოდან მხოლოდ ბიჭების გუნდი მონაწილეობდა. მათ ოქროს მედლის გარეშე დაასრულეს გამოსვლა, თუმცა, ასპარეზობას წარუმატებელსაც ვერ ვუნოდებთ, რადგან 7 მედალი მოიპოვეს - 2 ვერცხლი და 5 ბრინჯაო. ამასთან, კიდევ 6-მა იჭიდავე მესამე ადგილისთვის. საერთო გუნდური ჩათვლაში ჩვენები მეათეზე გავიდნენ, საკუთრივ ბიჭებში კი - მეხუთეზე.

ტურნირის ვიცე-ჩემპიონები ალექო მამიაშვილი (66) და სოსო ებილაშვილი (81) გახდნენ, მესამეზე კი საბა გრიგალაშვილი (60), ზაჩანა სარქისაშვილი (73), გოჩა ლვარიაშვილი (81), გიორგი ჩიქოვანი (90) და ნიკა დონღვანი (+90) გავიდნენ.

ბაქოში მოკოვებული პერსხლი




ბაქოში დასრულდა „ა“ კლასის საერთაშორისო ტურნირი ქაბუკ მოკრივეთა შორის, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც მონაწილეობდა. ჩვენებმა გამოსვლა ორი ვერცხლით დაასრულეს - მამუკა აბულაძემ (48) და ზურაბ მენაბდიშვილმა (66) მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლები დათმეს. აბულაძემ ბაქოს რინგზე ექვსი პაექრობა ჩაატარა და მხოლოდ ეს ერთი დათმო მასპინძელთან, ისიც - მსაჯთა ფრიად საეჭვო გადაწყვეტილებებით. მენაბდიშვილმა სამი პაექრობა გამართა და, საბოლოოდ, რუს მონაწილემდეგსთან წააგო.

აღსანიშნავია, რომ ორივე მოკრივე გორელია - აბულაძე ვარიანელია, მენაბდიშვილი კი საკუთრივ გორის კრივის დარბაზს წარმოადგენს.



მიმდინარეობს ხელმოწერა

მასწავლებლის გიგლიოთეკა



პუბლიკაცია მოიცავს დაწყებითი კლასების მასწავლებლებისთვის საინტერესო საკითხებს. წიგნი მიმოიხილულია შემდეგი თემები: აღრული განათლების მნიშვნელობა გავრცელების შემდგომი განვითარებისთვის, სასკოლო გზისთვის ცნება და მასწავლებლის სტრატეგიები სკოლასთან ადაპტაციისთვის, სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული რეკომენდაციები, სწავლის მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, სასწავლო მიზნების ფორმულირება, კრიტიკული აზროვნების, მათემატიკური უნარების, მატყველების განვითარება და კონკრეტული რეკომენდაციები ზვირგნოვანი უნარების განვითარებისთვის, კითხვის მნიშვნელობა და კითხვის უნარის სავითარებელი ღონისძიებები, ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და რეკომენდაციები მოქრები თამაშებისთვის, განმავითარებელი შეფასების საშუალებები, მსოფლიო-თან თანამშრომლობა, საკლასო ოთახის მოწყობის სავითარებელი, კლასის მართვის სტრატეგიები.

თარგამა და კონკრეტული რეკომენდაციები ზვირგნოვანი უნარების განვითარებისთვის, კითხვის მნიშვნელობა და კითხვის უნარის სავითარებელი ღონისძიებები, ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და რეკომენდაციები მოქრები თამაშებისთვის, განმავითარებელი შეფასების საშუალებები, მსოფლიო-თან თანამშრომლობა, საკლასო ოთახის მოწყობის სავითარებელი, კლასის მართვის სტრატეგიები.

ფასი - 7,30 ლარი



თამაზ ვასაძე ქართული აბიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის 4 ლარი

თემატური კლასიკები

დაწყებითი კლასებისთვის

(42X59.4 სმ)

- 1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. ბარეული ცხოველები
5. ბარეული ფრინველები
6. პრეფიქსები
7. შინაური ცხოველები და ფრინველები
8. პიგინის ნივთები
9. საოჯახო ნივთები
10. ტრანსპორტი
11. ზღვის ბინადრები
12. ტანსაცმელი
13. ხილი
14. გოსტეული
15. ჩემი სხეული
16. ფორმები
17. რიცხვები
18. რის შვილს რა ჰქვია
19. მწერები
20. აბინდი
21. მცენარეები
22. საპირისპირო ცნებები
23. ქალაქი
24. სოფელი
25. სკოლის სახეობები
26. ზღაპრის გმირები
27. ჩემი საქართველო
28. ქართული ანბანი
29. ინგლისური ანბანი
30. რომელი საათია

ფასი - 2.90 ლარი

მალაქი კლასებისთვის

(59.4X84.1 სმ)

- 1. რელიგიების წარმოშობა
2. ბარეული ფრინველები საქართველოში
3. ბარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ძველმეცნიერები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამხარისო წარმოშობა
8. ნიდაბი - სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ზღვის დინეები
11. ძირითადი ელემენტების პერიოდული სისტემა
12. ქართველი მწერის შვირალევა და საბრძოლო ტექნიკა
13. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ფასი - 4 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი



წიგნი I კველი ქართული მწერლობა; წიგნი II „ვეფხისტყაოსანი“; წიგნი III XIX საუკუნის მწერლობა; წიგნი IV XX საუკუნის მწერლობა

თამარ გელიტაშვილი, ამირან გომარტელი

მითითებული კრებულის ფასი - 12 ლარი



სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში


10 ლარი

საყვანვილო ენციკლოპედია

მითითებული ფასი - 12 ლარი

ავტომობილი, სამურაი, უდაბნო, გამომგონებები, განძის ძიება, გლადიატორები, დრო და კალენდარი, კველი ეგვიპტე, ევროპა

ვიკინგები, ფიზიკა, ახსნილი და აუხსნილი, ფენომენები, კომპიუტერი და ციფრული ტექნოლოგია, უკველესი ადამიანები, მათემატიკა, კველი რომი, კველი საბერძნეთი



რა არის რა

კაცია

მთავრობით 10 ტომს

ენციკლოპედიის სერიის „რა არის რა“

საყვანვილო ფასად.

მითითებული ფასი, 12 ტომის ნაცვად, 9 ტომად მიიღება.



ხელმოწერის თანხა გადმორიყხეთ რეკვიზიტებზე: მიმღები - შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერტი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

მსოფლიო კლასიკები

მკვლარი სხლის ჩანაწერები, თელორა დოსტოევსკი, ცოლთა სკოლა, ანდრა შილი, გზა ელიტისკენ, ჯონ ბრინი, რეპული მოთხრობები, ნიკოლოზ გოგოლი, ტალღები მოტანალი, ალექსანდრა ბრინი, ტკობა, გაბრიელა დანდანი, დედაჩემი, ალბერტ კიენი, აბაგასია, ალექსანდრა დიუმა, დონ კისტის დებრუნება, გილბერტ კით ჩესტერტონი, დროის ინსტიტუტი, ავგოდ ჰამლი ტანტინარი, ეფი ბრინტი, თელორა ფონტანე, ილია ვინეა, პრესვირ მერიე, აბაგასიური მოთხრობები, ლევ ტოლსტოი, კვარტარონი, გინ რილი, ლუიჯი ჯიგი, ჯოჯოა კონრადი, გადამ გომბარი, გუსტავ ფლოგერი, საბრსული წერილები, შარლ ლუი დე მონტესკიე

მოუთხრობა გულის, შტეფან ცვაიგი, მოწყვნილება, ალბერტო მორავია, ორი რომანი, მიგელ დელიგანი, პერიზის დროისმოთხრობის ტაბარი, ვიქტორ ჰიუგო, მოთხრობები, ალექსანდრა პუშკინი, რეპული მოთხრობები, ჯონ გოლდსთორტი, საბანის ელემენტები, ერნსტ ჰოფმანი, საყვარელი ჩრდილოეთი წინეთიდან, მარგარიტ დიურასი, ძალთა გედინება, ერილ ჯოლა, დამოული გართობა, რაფაელ საბატინი, მითელი და შავი, სტენდალი, ტრეალი საბურველი, სოფრსებ მოევი, ჯაგუში, ჯიგი კუპერი, ლინტინებანი, ვილჰელმ ჰაუფი, უსარი სხურაგა, შან შილო

მწერალთა კორტრეტები

- (34X47 სმ)
1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. მიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. დოღარ დუშაბაძე
5. აბაჰი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარე აბაგასი
10. გურამ რეპულივილი
11. დავით გურამიშვილი
12. გენიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. მიორგი მირეული
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით აღმაშენებელი

4 ლარი

რეპროდუქციები

- 1. ჰორაციუსის ფიცი, შაკ-ლუი დავიდი
2. მწყვთა თამარისცემა, დომენიკო გირლანდანი
3. ადელ ზღუს-გაუარის პროტრეტი, გუსტავ კლიმტი
4. მინიანი, დიეგო ველასკანი
5. დელფოსელი სილია, მიქელანჯელო
6. მხატვრის გალი, კლოდ მონე
7. უკლევი შვილის დებრუნება, რეპრანდტი
8. საბანეა, ოგიუსტ რენუარი
9. საპირიკო გაცირება, გრან შატის კუპეულია, შორჰ სიორა

6.5 ლარი

მითითებული ფასი - 15 ლარი

შეგვიკვეთეთ კვება ექსკურსიისთვის! უგემრიელესი მენიუ "Lunch spot"-ისგან!



მენიუ

საუზმე ავტობუსში (ბავშვებს):

ჰოთდოგი, კარტოფილი ფრი, ლიმონათი („ნატახტარი“).

საკვები დანიშნულების ადგილას ჩასვლისას:

ნახევრად ფენოვანი ხაჭაპური, ნახევრად ფენოვანი ლობიანი, პიცა, ხორციანი ბლინი, სამწვადე ჩაბასტურმებული, კიტრი და პომიდვრის სალათა, ყველი, საწებელი.

კექსი, ნამცხვარი (ვაშლის), შოთის პური, ლიმონათი („ნატახტარი“).

შეკვეთაში ასევე შედის: შეკვეთის პირდაპირ ავტობუსამდე მიწოდება!

ერთჯერადი ჭიქები, თეფშები, ჩანგლები, გასაშლელი სუფრა.

ნახშირი სამწვადისთვის. პროდუქტი - დაჭრილი, გამზადებული ყუთებში და კონტეინერებში. შეკვეთა მიიღება არანაკლებ 30 ადამიანზე. მენიუში შესაძლებელია დამატებების და ცვლილებების შეტანა მოთხოვნისამებრ.

დამატებითი ინფორმაციისთვის და შეკვეთის განსახორციელებლად,

დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599 088 099 .



მასწავლებლის ბიბლიოთეკა

მასწავლებლის საშუაო რვეული



მასწავლებლის საშუაო რვეული პროტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:

1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

კათედრის გაგების პროტფოლიო



კათედრის გაგების პროტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გაგების აღრიცხვას, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საჭიროებები. შესაძლებელია სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პროტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პროტფოლიოს წარმოებაში და მისი საჭიროების განხორციელებაში.

6 ლარი


ინტერაქტიური მეთოდების კრებული



კრებული ალწარმოდა ინტერაქტიური სწავლების მეთოდები; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებული თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი



2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია დაგეგმოს და ჩინიშოს მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას.

კალენდარს ახლავს პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავალი გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

5,50 ლარი



მისამართი: 0102 თბილისი, ტაბაღაშვილის ქ. №3

ტელ.: 032 295 80 23, 599 880073

www.axaligantleba.ge axaligantleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735

ა/ა GE86BG000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ზ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X



9 772233 386008 >

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი